# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 19 აგვისტო 2005 №189 (2512) ფასი 50 თეთრი



## ყაზახური ლეგენდა

ფეხბურთს ძალიან უყვარს საქართველო

3



## ზიდანი სულ სხვაა!

საფრანგეთი ძველებურად ათამაშდა

7



## სტუ დაიშალა!

საქართველოს ჩემპიონი აღარ არსებობს

12

# გაიოზ დარსაძის მომავლის თეორია

## საქართველომ ყაზახეთში წაგებული პირველად მოიგო



*...არანაირი საგმირო საქმე ყაზახეთში არ გაგვიკეთებია, ვითამაშეთ და მოვიგეთ...*

*...გუნდმა ჩემი მოთხოვნები მეტ-ნაკლებად კარგად შეასრულა. ბიჭებმა იბრძოლეს და წაგებული პირველი ტაიმის შემდეგ მატჩი მოიგეს...*

*...ძნელია, ორ დღეში გუნდის თამაში მნიშვნელოვნად შეცვალო. ყაზახეთთან მატჩამდე კი ყველაზე მეტი სამუშაო დაცვასთან მქონდა...*

*...ჭაბუკი ფეხბურთელები ნაკრებში ნელ-ნელა გამოჩნდებიან, ეს აუცილებელი პროცესია, ჩვენ ხომ მომავლის გუნდს ვაშენებთ...*

*...ახლა ნაკრები უფრო დიდხანს შეიკრიბება და სამუშაოდაც მეტი დრო გვექნება — ეროვნული გუნდი ამ მატჩებამდე თავის ბაზაზე იცხოვრებს.*

# ზუსტად იმ საათს, ზუსტად იმ წუთს

## ზურაბ ზვიადაური: ერთი წლის თავზე უფრო ბედნიერი ვარ

...საბერძნეთიდან საქართველოში დაბრუნების მომენტიდან ჩემი ხალხისგან არნახულ სითბოს ვგრძნობ. სიყვარულს, რომელიც ერთი წლის განმავლობაში ოდნავადაც არ განელებულა. ამაზე დიდი ბედნიერება არ არსებობს. ოლიმპიური ჩემპიონობისთვის უამრავი ფასიანი საჩუქარი მივიღე, მაგრამ ხალხის სიყვარულს ვერც ერთი ვერ შეედრება.

...პოპულარობის დაკარგვა გაცილებით ადვილია, ვიდრე მოპოვება და ამას სიზარმაცის გამო არაფრით დავუშვებ.



მე-14 გვერდი

# ახალი წესები

## გაიოზ დარსაძის ფსიქოლოგება



პირველად საქართველოს ნაკრების ისტორიაში — ქართველებმა მოიგეს ისეთი მატჩი, რომელსაც აგებდნენ. სასიამოვნოა, რომ ეს ამბავი სტუმრად მოხდა და ეროვნულმა გუნდმა თამაშის შემოტრიალება ახალი მწვრთნელის ხელში შეძლო — ყაზახეთთან მატჩში გაიოზ დარსაძის წარმატებული სანაკრებო დებიუტი შედგა...

— არანაირი საგმირო საქმე ყაზახეთში არ გაგვიკეთებია, ვითამაშეთ და მოვიგეთ — გვითხრა თბილისში დაბრუნებულმა გაიოზ დარსაძემ — კარგია, რომ ამ გამარჯვებით ეროვნულ გუნდში ფსიქოლოგიური გარემო გახალისდა. ჩემთვის, როგორც მწვრთნელისთვის, ყაზახეთთან მატჩი სამი ფაქტორის გამო იყო მნიშვნელოვანი: ერთი რომ, ეროვნულ გუნდში ახალი წესების დანერგვა დავიწყე, პატრიოტული განწყობის ამაღლებას ვცდილობ და მეორეც, გუნდში ახალგაზრდა ფეხბურთელთა ინტეგრირება ხდება. თუმცა, ვიმეორებ, მოგებამ, რა თქმა უნდა, გამახარა. ეს ფსიქოლოგიურად გუნდზე კარგად იმოქმედებს.

**— ახალი წესებიო, თქვით და რას გულისხმობთ, წმინდა საფეხბურთო საკითხებს თუ...**

— ყველაფერს, რაც გუნდთანაა დაკავშირებული, დისციპლინით დაწყებული, ფეხბურთის თამაშით დამთავრებული.

**— ნაკრებში მთლად ახალი კაცი არ გეთქმით, მაგრამ მაინც, ეროვნულ გუნდში ყველაფერი ისე დაგხვდათ, როგორც ელოდით?**

— ყოველ შემთხვევაში, არაფერს გავუკვირვებივარ. სანაკრებო ცხოვრებაში მეტ-ნაკლებად აქამდეც ჩახედული ვიყავი...

**— ფეხბურთელთა შესაძლებლობებში უკვე ბოლომდე გაერკვიეთ?**

— ეს პრობლემა არ არის. გიორგი ლომაია, ზვიად სტურუა, ზურაბ მენთეშაშვილი, კახა კალაძე, ზურაბ ხიზანიშვილი, დავით მუჯირი, ალექსანდრე იაშვილი ჩემს ხელში გამოვლილი ბიჭები არიან, სხვათა შესაძლებლობებსაც კარგად ვიცნობ.

**— ყაზახეთთან მატჩის შემდეგ, შედეგის გარდა, კმაყოფილი რით ხართ?**

— მეორე ტაიმით, გუნდმა ჩემი მოთხოვნები მეტ-ნაკლებად კარგად შეასრულა. ბიჭებმა იბრძოლეს და წაგებული პირველი ტაიმის შემდეგ მატჩი მოიგეს.

**— სხვათა შორის, ეს პირველი შემთხვევაა, როცა ნაკრები აგებდა და მოიგო...**

— ძალიან კარგი.

**— უკმაყოფილო რით დარჩით?**

— მოდით, პასუხისგან თავს შევიკავებ. ჩათვალეთ, ეს მცირე სამწვრთნელო საიდუმლოა.

**— ისე, თქვენგან ნაკრების ძირითადი შემადგენლობის მნიშვნელოვან გადახალისებას ელოდნენ...**

— ვფიქრობ, ყველაფერში ზომიერებაა საჭირო. შემადგენლობაში კი გარკვეული ცვლილებები ყაზახეთშიც იყო.

**— გუნდის თამაშში რა შეცვალეთ?**

— ძნელია, ორ დღეში გუნდის თამაში მნიშვნელოვნად შეცვალო. ყაზახეთთან მატჩამდე კი ყველაზე მეტი სამუშაო დაცვასთან მქონდა. გუნდმა წინა ოთხ თამაშში 13 გოლი გაუშვა, დამეთანხმებით, ეს მეტისმეტია.

**— სექტემბერში საქართველოს ნაკრებს ზედიზედ ორი მატჩი აქვს, შინ უკრაინასთან და სტუმრად დანიასთან. საყაზახეთოდ გამოძახებული შემადგენლობა ამ შეხვედრებისთვის მნიშვნელოვნად შეიცვლება?**

— ვერ გეტყვით, ფეხბურთელებს კიდევ დავაკვირდები.

**— ყაზახეთთან ჭაბუკი გიორგი განუგრავაც ათამაშეთ. მომავალში როგორ იქნება?**

— განუგრავამ სულ ოთხი წუთი ითამაშა, მაგრამ ამითაც კმაყოფილი ვარ. ისე კი, ჯაბა კანკავაც ჭაბუკია, 19 წლისაა. მათ გარდა ეროვნულში სათადარიგოდ გვყავდა მათე ღვინიანიძე, რომელმაც წინა დღეს 90 წუთი ითამაშა და კიდევ რომელიმე ფეხბურთელი რომ გამოგვკლებოდა, მის ნაცვლად რატი წინამძღვრიშვილს დავიმატებდით. ღვინიანიძე და წინამძღვრიშვილი ახალგაზრდული ნაკრებების მატჩის შემდეგ ეროვნული გუნდის სასტუმროში გადმოვიყვანეთ. ასევე ვფიქრობდით გოგიტა გოგუაძეც. მოკლედ, ჭაბუკი ფეხბურთელები ნაკრებში ნელ-ნელა გამოჩნდებიან, ეს აუცილებელი პროცესია, ჩვენ ხომ მომავლის გუნდს ვაშენებთ.

**— ყაზახეთთან მატჩისას თქვენ გვერდით ახალგაზრდულის თავკაცი კობა ჟორჟიკაშვილიც იყო. ეროვნულ გუნდში მამუკა აბუსერიძე და ჟორჟიკაშვილი არიან მწვრთნელის თანაშემწეები?**

— ჩვენ ერთი სამწვრთნელო გუნდი ვართ. კობა ჟორჟიკაშვილი ახალგაზრდულის მწვრთნელია, გაიოზ დარსაძე კი, ნუ დაივიწყებთ, ფედერაციის ტექნიკური დირექტორიცაა. ჩვენ ერთ გზას ვადგავართ, ერთად ვმუშაობთ, ერთი სისტემით. ასეა ყველა განვითარებულ საფეხბურთო ქვეყანაში.

**— უკრაინა-დანიასთან მატჩებისთვის ნაკრების მზადებაში რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება იქნება?**

— ახლა ნაკრები უფრო დიდხანს შეიკრიბება და სამუშაოდაც მეტი დრო გვექნება. კიდევ ის, რომ ეროვნული გუნდი ამ მატჩებამდე თავის ბაზაზე იცხოვრებს.

**კობა ინასარიძე**



რატი წინამძღვრიშვილი (№10): ორი მატჩი და ორი გოლი ახალგაზრდულ ნაკრებში

# გოლების წინამძღოლი

## წინამძღვრიშვილმა ყაზახებს თავი აძგერა

**ბოლო თვენახევარი 17 წლის რატი წინამძღვრიშვილისთვის ძალიან ნაყოფიერი გამოდგა. „ამერის“ ფორვარდმა ჯერ იტალიურ ლინიანოში გამართულ ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზე იგოლავა, რითაც ქართველ 18-წლამდელთა ნაკრების ჩემპიონობაში ლომის წილი დაიდო, სამი დღის წინ კი ყაზახებს აძგერა ლამაზი თავური და საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს მოაგებინა...**

„ყაზახებს იოლად მოვუგეთო, ვერ ვიტყვი, მაგრამ თამაშით ვაჯობეთ. უბრალოდ, გიორგი ელბაქიძე რომ გააძევეს, მაშინ გაგვიჭირდა. მასპინძლებს ფიზიკურად ძლიერი მცველები ჰყავდათ, ყველა ბურთზე ბრძოლა მიხდებოდა. თავდასხმაში გოგი ფიფიასთან ერთად ვიყავი, თუმცა იგი უფრო სიღრმიდან თამაშობდა. საერთო ჯამში ერთმანეთს კარგად გავუგეთ“ — ამბობს რატი.

კობა ჟორჟიკაშვილის გაწვრთნილმა ახალგაზრდულმა ნაკრებმა ერთი კვირის წინ აზერბაიჯანელ თანატოლებს 1:0 მოუგო და წინამძღვრიშვილის აზრით, იმ თამაშთან შედარებით გუნდი ყაზახეთში უფრო კარგად გამოიყურებოდა.

გამარჯვების გოლს კი წინამძღვრიშვილი ასე აღწერს: „შოთა გრიგალაშვილმა ფლანგზე ორი კაცი მოატყუა და საჯარიმოში ჩამოაწოდა, თავით დავუხვდი და კარგი გოლი გამომივიდა. მეტი გასატანი მომენტი, ფაქტობრივად, არც მქონია.“

მეორე დღეს რატი გაიოზ დარსაძემ საქართველოს ეროვნულ ნაკრებში გადაიყვანა...

„დარსაძემ მე და მათე ღვინიანიძეს გვითხრა, მინდა, ეროვნულის შეგაჩვიოთო. მეორე დილით დიდ ნაკრებში ცოტა ხანს მოითელვაზე გავედით, ამას ვარჯიშს ვერც დავარქმევ. ღვინიანიძე დარსაძემ 18-კაციან განაცხადშიც შეიყვანა, მე კი, ასე ვთქვათ, მე-19 მოთამაშე ვიყავი. ისე, ძალიან კი მინდა ეროვნულ ნაკრებში თამაში და ვნახოთ, რამდენად მალე მივაღწევ ამას“.

ახალგაზრდულ ნაკრებს შემდეგი ჯახი უკრაინასთან ექნება თბილისში და ამერელ ფორვარდს იმედი აქვს, რომ თუნდაც ერთ გოლს გამორჩება. თუმცა მანამდე „ამერის“ ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრებას ცდილობს.

**ილია ნანოგაშვილი**

# ტომა დაბრუნდება

## ნაკრების თავკაცს თენგიზ სულაქველიძე დაეხმარება



**საქართველოს** ნაკრების მწვრთნელის თანაშემწე გახდება თენგიზ სულაქველიძე, ვისი წარდგენა-გაცნობაც, ვფიქრობთ, ზედმეტია. იმას კი შეგახსენებთ, რომ თენგიზ სულაქველიძეს თავისი საფეხბურთო აკადემია აქვს და დღემდე იქ მუშაობს.

ეს ამბავი კულუარულია, მაგრამ ისეთი ხალხისგან თქმული, რომლებიც ეროვნულ ნაკრებთან ახლოს არიან. თუმცა თავად გაიოზ დარსაძე არ ამბობს, თანაშემწედ ვინ სურს.

ჯერჯერობით კი დარსაძეს ოფიციალურად ერთი თანაშემწე ჰყავს, მეკარეების მწვრთნელი მამუკა აბუსერიძე.

**კობა ინასარიძე**

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

საქართველოს ჩემპიონატი

პირველი 17 ლიგა

პირველი წრე

**2 ტური**

| | |
|---|---|
| მეშაქრე 0:0 ბაგრა | ვიტ ჯორჯია 2 1:3 მერანი |
| ზუგდიდი 0:0 ლოკომოტივი 2 | დინამო 2 7:0 მაღაროელი |

**საფრანგეთი**

II დივიზიონი

გადადებული მატჩები

მონპელიე 2:1 ამიენი

**ისლანდია**

პრიმერადივიზიონი

XIV ტური

ვესტმანაიაერი 5:1 გრინდავიკი

**შვედეთი**

სუპერეტა

XX ტური

ფალკენბერგი 2:2 მიალბი

**ფინეთი**

ვეიკაუსლიგა

გადადებული მატჩი

პაკა 6:0 ტურკუ

# ყაზახური ლეგენდა: ფეხბურთს ძალიან უყვარს საქართველო

### უკაცრავად, რომელია თქვენი დედაქალაქი?

ალმათი — ყაზახეთის ყოფილი დედაქალაქი...

ყოფილიო, ვამბობ, მაგრამ... ქუჩაში ათი კაცი რომ გააჩერო და ჰკითხო, ყაზახეთის დედაქალაქი რომელიაო, შვიდი დაუფიქრებლად გიპასუხებს — ალმათი; ორი დაფიქრდება და მაინც იგივეს გეტყვის; ერთი თუ იქნება, რომ გიპასუხებს — ასტანა.

დამეთანხმებით, ამ „სოციოლოგიურ გამოკითხვას“ უცნაური შედეგები აქვს, თუმცა... აი, რაში ყოფილა საქმე: ასტანა, ყაზახეთის ახლანდელი დედაქალაქი, ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობს და ყველაზე რუსული ქალაქია მთელ ყაზახეთში — მოსახლეობის თითქმის 95 პროცენტი რუსია. ჰოდა, ნაცნობი სცენარის გათამაშებაც დაიწყო: საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ასტანელები ავტონომიაზე ალაპარაკდნენ, ამას რა მოჰყვებოდა, კარგად იცით და ყაზახეთის მმართველებმაც ჭკუა იხმარეს — ალმათიდან დედაქალაქი ასტანაში გადაიტანეს. ამ ნაბიჯმა გაამართლა, სეპარატისტული განწყობა ჩაიფერფლა და ქვეყანამაც ტერიტორიული მთლიანობა შეინარჩუნა.

90-იანი წლების ბოლოს ყაზახებს ისევ ალმათიში სდომებიათ დედაქალაქის გადმოტანა, თუმცა ეს ამბავი ლაპარაკს აღარ გაშორებია და დარჩა ასე: დედაქალაქი ასტანაა, ხოლო ალმათის სამხრეთის დედაქალაქად მოიხსენიებენ.

ეს ისე, ცნობისთვის...

### ქართველები ხართ? მოიგებთ!

ალმათი ფეხბურთით ცხოვრობსო, რომ ვთქვა, მოგატყუებთ. ყველაზე პოპულარული სპორტსმენი ველომრბოლი ალექსანდრ ვინოკუროვია. ისე, ბერძნულ-რომაულად მოჭიდავე გიორგი წურწუმიასაც დიდი სახელი და პატივი აქვს.

ფეხბურთი კი... „ჩვენებმა ფეხბურთი არ იციან!“ — ასიდან ასივე ამას ამბობს. სტადიონზე მიმავალი არც ერთი ყაზახი თავისიანების კარგ თამაშს არ ელის. ასეთი რამ მათთვის ბუნებაში არ არსებობს.

„ქართველები ხართ?“ — გვკითხავდნენ ხოლმე ტაქსის მძღოლები და წამსვე მოაყოლებდნენ — „აბა, აქედან მოგებულები წახვალთ. ქართველები ფეხბურთის სათამაშოდ ხართ დაბადებულნი, ჩვენებმა კი პასის მიცემაც არ იციან.“

ტაქსი ვახსენე და, რომ არ ვთქვა, არ გამოვა — ალმათიში ტაქსი, ჩვენ რომ ვიცით, ისეთი, თითქმის არ არსებობს. ტაქსის ნიშნიანი მანქანა იქ ძალიან ცოტაა და თან ძალიან ძვირი. დანარჩენები კი... უბრალოდ, დადექით გზის პირას, ხელი ნებისმიერ გამვლელ მანქანას დაუქნიეთ და ორ-სამ წუთში ერთი ისეთი გამოჩნდება, თქვენ რომ გსურთ.



გიორგი დემეტრაძე ყაზახეთში ძალიან პოპულარულია

### გამოწვდილი ხელი

სისუფთავითა და წესრიგით გამორჩეული, ევროპულად მოწყობილი ალმათი ერთი შეხედვით მდიდარი ქალაქის შთაბეჭდილებას ტოვებს, თუმცა, რომ იტყვიან, არც ისე წვიმს, როგორც ქუხს — ქუჩაში უამრავი მათხოვარი დგას. ეგ კი არა, ახალგაზრდული ნაკრებების მატჩზე დასასწრებად სტადიონზე მისულს წესრიგის დასაცავად გამწესებულმა (ასეთი კი ძალიან ბევრი იყო) ერთმა ჯარისკაცმა ჯერ სიგარეტი მთხოვა, მერე კი, იქნებ ცოტაოდენი ფული მომცეო. ამის გაგონებაზე გაკვირვებულმა რომ შევხედე, ბოდიში მომიხადა და მომშორდა. ორ-სამ წუთში იმავ ჯარისკაცს ყაზახი ქომაგები მიუახლოვდნენ, სიგარეტიც მისცეს და ტკიცინა ტენგეებიც (იქაური ფულია) ჩაუკუჭეს ჯიბეში.

### წესიერი ერი

სტადიონზე შესვლა კი რიგში დგომას და ჭყლეტას სულაც არ ნიშნავს. ჩვენი სტადიონებისგან განსხვავებით, იქ ყველაფერი ცივილიზებულად ხდება — ბილეთი იყიდე, ტრიბუნაზე ადი, მოძებნე შენი ადგილი, დაჯექი და სხვას ხელს ნუ უშლი — ასეთ მარტივ „ქცევის წესებს“ დიქტორი თამაშის დაწყებამდე რამდენჯერმე აცხადებს ყაზახურ, რუსულ და ინგლისურ ენებზე. აცხადებს იმასაც, რომ სტადიონზე არ შეიძლება ბოთლების შეტანა, არაფხიზელ მდგომარეობაში შესვლა, სიგარეტის მოწევა, დანაგვიანება...

მოკლედ, რასაც აკეთებთ თბილისში, ქუთაისში, ბათუმში თუ სხვაგან, ვერ გააკეთებთ ალმათიში.

### ნაზარბაევმა თქვა: სპორტი

ზემოთ ვთქვი, ალმათი მდიდარი ქალაქის შთაბეჭდილებას ტოვებსო. მდიდრების პროცენტული მაჩვენებელი ძალიან დაბალი კია, მაგრამ ყაზახებს ფულის საქმეში და, რაც ჩვენთვის საინტერესოა, სპორტში ჩადებაც ჰყვარებიათ. „სპორტი ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია“ — ყაზახეთის პრეზიდენტ ნურსულთან ნაზარბაევის ამ სიტყვებს თითქმის ყველა სპორტულ გამოცემაში წაიკითხავთ.

ბოლო ხუთ წელიწადში სახელმწიფოს მიერ სპორტში ჩადებული თანხების ოდენობა ხუთჯერ გაზრდილა და უკვე ათეულ მილიონებს უკაკუნებს. სადღეისოდ ყაზახეთის რვა ქალაქს თანამედროვედ გაწყობილი სპორტული კომპლექსი დაეკვეხნება, ამჟამად კი ალმათიში უმაღლესი დონის ოლიმპიური მომზადების ცენტრი შენდება, ხოლო პატარ-პატარა საფეხბურთო თუ სხვა სახეობათა სკოლებს თვლა არ ჰქონია.

„ჩვენ პეკინის ოლიმპიადას დიდი იმედით ველით“ — ამბობენ ყაზახები და ყოველივე ამის შემდეგ მათი ოპტიმიზმი უსაფუძვლო სულაც არ ჩანს.

### კეთილი კაცის სევდა: სად თქვენ, სად ჩვენ...

და კიდევ: მთელ ალმათიში ასამდე კაზინო და ორმოცდაათამდე სათამაშო დარბაზია. რატომ? ამას ვერც თავად იქაურები ხსნიან, თუმცა ფაქტია, ალმათიში საღამოს 8 საათის შემდეგ ახალი ცხოვრება იწყება — ჩვენ მთელი დღე ვმუშაობდით, ახლა კი გართობის დროაო, ამბობენ ისინი და ერთობიან კიდეც. სტადიონზეც ერთობიან, ოღონდ მეტოქე გუნდის თამაშით — „აბა, სად ყაზახეთი და სად საქართველო. თქვენ ხომ კალაძე და დემეტრაძე გყავთ, ჩვენ კი... ფეხბურთს ძალიან უყვარს საქართველო და პირიქით“ — ესეც იმ კეთილი კაცის სიტყვებია, რომელმაც ქუჩაში სურათი გადამიღო, ყაზახეთ — საქართველოს მატჩის ბილეთი მაჩვენა და მითხრა, სტადიონზე თქვენი მოგების სანახავად მივდივარო...

**ბაჩა შალამბერიძე**
**ალმათი-თბილისი**

---





თბილისი. 19 აგვისტო. 17 საათი. შევარდენი

## სოხუმი — ბორჯომი

მსაჯები: ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი); მ. ელიკაშვილი (დუშეთი), ი. აფციაური (დუშეთი); ზ. ანიაშვილი (გორი)

თბილისი. 20 აგვისტო. 17 საათი. მიხეილ მესხი

## ლოკომოტივი — ამერი

გორი. 20 აგვისტო. 17 საათი. თენგიზ ბურჯანაძე

## დილა — ტორპედო

ბათუმი. 20 აგვისტო. 17 საათი. დინამო

## ბათუმი — სიონი

ფოთი. 20 აგვისტო. 17 საათი. ფაზისი

## კოლხეთი — სპარტაკი

ქუთაისი. 20 აგვისტო. 17 საათი. ტორპედო

## ზესტაფონი — დინამო

თელავი. 20 აგვისტო. 17 საათი. ვივი ჩოხელი

## კახეთი — ვიტ ჯორჯია

თბილისი. 21 აგვისტო. 17 საათი. ოლიმპი

## თბილისი — ცხინვალი

# აქეთ მიხეილ მესხი, იქით იონა

**როგორც იქნა,** საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა წლეულს პირველი ოფიციალური მატჩი მოიგო. ორიოდ კვირაში სანაკრებო ამბები კიდევ მოგვიკაკუნებს, იქამდე კი ეროვნულ ჩემპიონატში ორი ტური გაიმართება — აქედან პირველი დღეს, ფერისცვალებას იწყება და სამ დღეზე გაიწელება, თუმც მთავარი მატჩები შაბათს ჩატარდება. ჩვენც, ასე ვთქვათ, „ტოპ-მატჩებით“ დავიწყოთ...

თემურ მახარაძის „ზესტაფონი“ ქუთაისში დაუხვდება თბილისის „დინამოს“. ამათი ბოლო სამი შეყრა ისე დამთავრდა, თბილისელებს გოლის გატანა არ ღირსებიათ (0:0, 0:1, 0:1). მოკლედ, წინა სეზონში ფეროელებმა დინამოელები აშკარად დაჩაგრეს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ შაბათს ფავორიტები იქნებიან. ჯერ ერთი, იმერლები შინ არ თამაშობენ, მეორეც, შარშანდელი შემადგენლობა აღარ ჰყავთ და ერთი მარცხი უკვე იწვნიეს კიდეც ჩემპიონატში.

„დინამო“ კი... მართალია, ევროტურნირები ჩააფლავა და საწყის ტურებში მოსაგებადაც კაი ოფლი დაღვარა, მაგრამ ამ ეტაპზე კახა ცხადაძეს ფეროელებზე უფრო მოფერიანებული გუნდი ჰყავს.

და მაინც, ეჭვი არ გვეპარება, დაძაბული თამაში გამოვა. „ზესტაფონსაც“ ჰყავს თავისი ჯოკერი — ზურაბ იონანიძე, ვისაც „დინამოს“ გოლებით დამწუხრება არ ეშლება...

„დინამო“ და „ამერი“: ჯერჯერობით ესენი მიიწევენ ქულადაუკარგავად. გიორგი ჩიხრაძის გუნდს რთული თამაში ელის „მიხეილ მესხზე“, სადაც მოგებაზე დამშეულ „ლოკომოტივს“ შეერკინება. სომხურ „ბანანცთან“ სირცხვილნაჭამმა რკინიგზელებმა ჩემპიონატი ტყუპი ფრით დაიწყეს და შაბათს რომც მოიგონ, „ამერს“ ვერ დაეწევიან, მაგრამ ახლა ვლადიმერ ... ლებს ჰკითხეთ, რას ნიშნავს „რომც მოიგონ“.

„ლოკომოტივს“ დისკვალიფიკაციის გამო ორი წამყვანი მცველი — კაპიტანი როინ ონიანი და ... საჯაია დააკლდება.

კაი ჯახი იქნება ბათუმშიც — ოთხქულიანი მასპინძლები ოთხქულიან „სიონს“ მასპინძლობენ. ზღვისპირელებმა ეროვნულ ჩემპიონატში შესვენებისას თურქულ „ჩოფასპორთან“ (1:2) და ფოთის „კოლხეთთან“ (1:0) წაამხნაგურება მოასწრეს, თუმცა მწვრთნელ ამირან გოგიტიძეს გუნდის შეთამაშების პრობლემა მაინც აწუხებს. ბოლნისელებმა კი ლაღად იბურთავეს საწყის ტურებში, განსაკუთრებით „ლოკომოტივთან“. ჯერ იქნებ ადრეა, მაგრამ აჭარელებმაც და ქვემოქართლელებმაც, წესით, მაღალი ადგილებისთვის უნდა იბრძოლონ — ისევ სხვა კლუბების უღონობა-ულონობის ის ფონზე.

დანარჩენ მატჩებზე თვალს ვერ დაახარბებ, მაგრამ მთლად უთქმელობაც არ ივარგებს. დღეს „სოხუმი“ „ბორჯომთან“ პირველი მოგების დაგემოვნებას შეეცდება, მაგრამ ძნელად რომ ეს შეძლოს. ბათუმელებისა არ იყოს, ბორჯომელებსაც შეთამაშება სჭირდებათ, ისე კი, ქართლელებს ისეთი შემადგენლობა ჰყავთ, ბარე ორს თვალს დაუყენებენ.

**ილია ნანობაშვილი**

## 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე შესარჩევი ჯგუფი

## ჩვენი მეტოქეები

# ორი ბუა ბერძნებისთვის

## რეჰაგელი მპენზებში ჩაახედეს



ემილ მპენზამ და მისმა ძმამ ანტონის ნიკოპოლიდისს ორჯერ გაუტანეს

**ევროპის** ჩემპიონმა ბერძნებმა ოტო რეჰაგელს იუბილე ჩაუმწარეს. „მეფე ოტომ", რაც ბერძნებს უდგას სათავეში, ბელგიელებთან მატჩში ელადელები 50-ედ დამოძღვრა.

მარცხით გულნატკენმა რეჰაგელმა ნამატჩევს თქვა: „თამაშამდე ფეხბურთელები არაერთხელ გავაფრთხილე, იოლ შეხვედრას ნუ ელით-მეთქი. სამწუხაროდ, არ გვივარგოდა სათამაშო დისციპლინა. პირველი ტაიმი აშკარად ჩავაგდეთ და ორი გაშვებული გოლიც ლოგიკურია. მეორეში ვცადეთ ვითარების გამოსწორება, მაგრამ არაფერი გამოგვივიდა, თამაში უკვე წაგებული გვქონდა".

ევროჩემპიონები კი ძმებმა მპენზებმა გააკრეს ბეჭებზე. ჯერ ემილმა გამოიჩინა თავი მე-19 წუთზე, მან ცენტრალურ მცველ სოტირის კირიაკოსის შეცდომით ისარგებლა და ნიკოპოლიდისთან პირისპირ დარჩენილს გატანა არ გასჭირვებია. ხუთ წუთში კი მბო მპენზამ დააქუხა ოციოდ მეტრიდან.

„ცხადია, წაგება არავის უხარია, მაგრამ რა გაეწყობა. ამხანაგური მატჩები ხომ სწორედ იმისთვისაა, შენი გუნდის ხარვეზები და ნაკლოვანებები სრულად დაინახო. ჩვენ ყაზახეთთან და ალბანეთთან სექტემბრის მატჩებისთვის ვემზადებით და, რა თქმა უნდა, ორივე შეხვედრა უნდა მოვიგოთ. ქულათა მარაგი აუცილებლად უნდა შევივსოთ. რატომ? მსოფლიოს ჩემპიონატი ევროპის ჩემპიონის გარეშე ვერ წარმომიდგენია" — ესეც რეჰაგელის სიტყვებია.

**ბელგია 2:0 საბერძნეთი**

1:0 ე. მპენზა (19), 2:0 მ. მპენზა (24)

**ბელგია:** პროტო, ვანდერ ბორე, (დოლი 89), კომპანი, ვან ბუიტენი, დეშახტი, ვანდერეგე (კლემანი 90). სიმონსი, ვან დამი (ლეონარი 90), მ. მპენზა (ვანდერბერგი 76), ე. მპენზა (ჟერარტსი 81), პიერონი (ბისკონტი 74)

**საბერძნეთი:** ნიკოპოლიდისი, სეიტარიდისი, კაპსისი, კირიაკოსი (ალექსოპულოსი 46), ფისასი (ვინტრა 71), იანაკოპულოსი (სალპიგიდისი 69), ზაგორაკისი (კაფესი 67), ბასინასი (ლიბეროპულოსი 46), კარაგუნისი, ხარისტიასი, ლაკისი (ვრიზასი 46)

40 000 მაყურებელი

**გიორგი გუგაძიძე**

# დანიაში ამბებია, დითირამბებია

## შვიდ წუთში ინგლისი მანგლისი იყო

**დანია 4:1 ინგლისი**

1:0 რომედალი (60), 2:0 ტომასონი (63), 3:0 გრავგაარდი (67), 3:1 რუნი (87), 4:1 ლარსენი (90)

**დანია:** სორენსენი, აგერი, ნილსენი (გრავგაარდი 46), ნ. იენსენი, პრისკე, კ. პოულსენი (დ. იენსენი 87), გრავესენი, გრონკიაერი (რომედალი 46), კ. იენსენი (კ. პერესი 75), ტომასონი (ლარსენი 64), მარტინ იორგენსენი (კალენბერგი 46)

**ინგლისი:** რობინსონი (ჯეიმსი 46), გ. ნევილი (ჯონსონი 46), ფერდინანდი, ტერი (კარაგერი 46), ე. კოული, ბექემი, ჯერარდი (ჯენასი 84), ლამპარდი (ჰარგრივსი 64), ჯ. კოული, რუნი, დეფო (ოუენი 46)

41 438 მაყურებელი



დევიდ ბექემის (№7) ინგლისი ძალიან, ძალიან შერცხვა

**საცოდავი** დევიდ ჯეიმსი... ინგლისელთა შვედმა მწვრთნელმა სვენ-გორან ერიკსონმა სადღეისოდ საუკეთესო ორი ინგლისელი მეკარე მონაცვლეობით ჩააყენა კარში. ჯეიმსმა მეორე ტაიმში პოლ რობინსონი შეცვალა და ახლა ალბათ ფიქრობს, ნეტავ, ფეხი მომტეხოდაო... დანიელებმა დევიდ ჯეიმსს, გადაჯლა რომ ჰქვია, ის მოსწიეს — ოთხი გოლი მიართვეს.

ინგლისის ნაკრების დიდი ანგარიშით მარცხი როგორი საქმეა და აჭრელდა კიდეც დანიური ჟურნალ-გაზეთები მორტენ ოლსენისა თუ ცალკეული ფეხბურთელებისადმი მიძღვნილი დითირამბებით.

ბრიტანელმა ჟურნალისტებმა კი ქექეს, ქექეს და, ინგლისის ნაკრებმა ბოლოს, 25 წლის წინ წააგოო, ამოქექეს. ეს ამბვი 1980 წლის მაისში მოხდა, მაშინ ინგლისელები უელსელებმა გაანადგურეს.

დანიელებმა ბრიტანელთა რბევა მე-60 წუთიდან დაიწყეს, როცა დენის რომედალმა პირველად ააფართხალა ბურთი ჯეიმსის კარის ბადეში. გავიდა სამი წუთი და ახლა იონ დალ ტომასონმა იყოჩაღა, აქედან ოთხ წუთში კი დებიუტანტმა მიქაელ გრავგაარდმაც გაიხარა...

...ინგლისი სულ რაღაც 7 წუთში გაცამტვერდა!

„რა უნდა ვთქვა, არც კი ვიცი — დაიჩივლა პრესკონფერენციაზე ერიკსონმა — დევიდ ჯეიმსს ვერ ვუსაყვედურებ, სასაყვედურო ყველასთან მაქვს და ეს უბრალო საყვედური არ იქნება".

ცხადია, სულ სხვა გუნებაზე იყო მორტენ ოლსენი. აკი ამბობდა დანიელთა თავკაცი თამაშამდე, ინგლისელებთან შედარებით ჩემი გუნდი შეფერთხილია, მაგრამ მაინც უნდა მოვიგოთო. მოიგო და ცოტა ხანი კი იქნება მეფესავით ოლსენი სამშობლოში.

ბრიტანულმა მედიამ კი ერიკსონი „ფეხქვეშ გაიდო" — ჟურნალისტები ერიკსონს შემადგენლობის შერჩევაში ადანაშაულებენ, რა უნდა ძირითადში ჯერმენ დეფოს, როცა მაიკლ ოუენი სკამზე გიზისო.

**გიორგი გუგაძიძე**



სერბები ანდრეი შევჩენკოს კი გადაურჩნენ, მაგრამ...

# ბლოხინმა საქართველო დანამდვილებით იცის

**უკრაინა 2:1 სერბეთი**

1:0 რებროვი (61), 2:0 ნაზარენკო (70), 2:1 კეჟმანი (89)

**უკრაინა:** სტარცევი, ნესმაჩნი (რადჩენკო 66), ვაშჩუკი, ეზერსკი (ტიმოშჩუკი 53), ო. გუსევი, რუსოლი, გუსინი, შელაევი, რიკუნი (ნაზარენკო 57), შევჩენკო (ვენგლინსკი 46), ვორონინი (რებროვი 59)

**სერბეთი:** ჟევრიჩი, დრაგუტინოვიჩი (ლიუბოია 76), გავრანჩიჩი, ვიდიჩი (ჟიგიჩი 46), კრსტაიჩი, ჯორჯევიჩი (კორომანი 76), დულიჯი, მარიჩი, ილიჩი (ვუკიჩი 58), მილოშევიჩი (დუდიჩი 46), იესტროვიჩი (კეჟმანი 46)

20 000 მაყურებელი

**უკრაინის** ნაკრებმა ვალერი ლობანოვსკის სახელობის საერთაშორისო ტურნირზე მესამე ადგილი დაიკავა. ოლეგ ბლოხინის გაწვრთნილებმა სერბეთის ეროვნულ გუნდს 2:1 მოუგეს. უკრაინელთაგან გოლები სერგეი რებროვმა და ანდრეი ნაზარენკომ გაიტანეს, ხოლო სტუმართაგან პრესტიჟისა მატეა კეჟმანმა მიითვალა.

ტურნირი კი პოლონელებმა მოიგეს, მათ ფინალში დაძაბულ და ერთობ სანახაობრივ მატჩში ისრაელი 3:2 დაამარცხეს.

საქართველოს ნაკრების მომავალ მეტოქეს დავუბრუნდეთ: ჩანს, ოლეგ ბლოხინმა უკრაინელ ჟურნალისტთა მოთხოვნა ყურად იღო და სერბების წინააღმდეგ შევჩენკო-ვორონინის დუეტი დააყენა თავდასხმაში. ეს მოსალოდნელიც იყო, მაგრამ ბლოხინმა მედიელები მაინც გააკვირვა — გამოცდილი ალექსანდრ შოვკოვსკის ნაცვლად კარის დაცვა საკმაოდ ახალგაზრდა მაქსიმ სტარცევს ანდო და მანაც გაუმართლა: ერთიორჯერ ისეთი ბურთი აიღო, თქვენი მოწონებული...

უკრაინელები მთელი მატჩის განმავლობაში ფლობდნენ უპირატესობას — სერბ მეკარე დრაგოსლავ ჟევრიჩსაც ხშირად აწუხებდნენ, მაგრამ მის კარს გასაღები იქამდე ვერაფრით მოარგეს, სანამ ბლოხინმა შეცვლა არ განახორციელა. 59-ე წუთზე ანდრეი ვორონინის ნაცვლად სერგეი რებროვი შეუშვა — ერთ დროს უკრაინის ნაკრების ვარსკვლავმა კი შანსი გამოიყენა, ჟევრიჩს ორ წუთში გაუტანა. მალე თავი ნაზარენკომაც გამოიჩინა.

აი, რა თქვა *ოლეგ ბლოხინმა* პრესკონფერენციაზე:

— ისრაელთან და სერბეთთან მატჩებით თუ ვიმსჯელებთ, გეტყვით, რომ მთლიანობაში ჩემი გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ. რა თქმა უნდა, გვქონდა ხარვეზებიც, განსაკუთრებით ებრაელებთან მატჩში. ჩემთვის ახლა უმთავრესი საფიქრალი საქართველოსთან მატჩია და გეტყვით, რატომაც: თუ მოვიგეთ, მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური, ფაქტობრივად, განაღდებული გვაქვს. დარწმუნებული ვარ, თბილისში ურთულესი მატჩი გველის მიუხედავად იმისა, რომ იქ ცარიელი ტრიბუნების წინ მოგვიწევს თამაში.

**— ისრაელთან და სერბეთთან თქვენ, ფაქტობრივად, ორი შემადგენლობა ათამაშეთ. როტაციის პრინციპმა გაამართლა?**

— რა თქმა უნდა, გაამართლა. ხომ გითხარით, თბილისის მატჩისთვის ვემზადებით და თითქმის დანამდვილებით ვიცი, ვისაც ვათამაშებ. უკრაინა საქართველოში უძლიერესი შემადგენლობით ჩავა.

**— მომავალი მატჩისთვის შეკრებას როდის დაიწყებთ?**

— დავიწყებთ იმ დროს, რომელსაც უეფას რეგლამენტი ითვალისწინებს, ანუ ყველა ის ფეხბურთელი, ვისაც საქართველოსთან მატჩისთვის გამოვიძახებ, კონჩა ზასპას ბაზაზე თამაშამდე ხუთი დღით ადრე გამოცხადდება.

**გიორგი გუგაძიძე**

# იუვეს გრძელი ლაზარეთი და ახალწვეული ბალძარეტი



ფედერიკო ბალძარეტი

**იტალიურ** „იუვენტუსში“ ტრავმების ეპიდემია არ წყდება. მოგეხსენებათ, ალესანდრო ბირინდელი 6 თვე, ხოლო ჯანლუიჯი ბუფონი 3 თვე ვერ ითამაშებენ. დაშავებულები არიან მაურო კამორანეზი, პაველ ნედვედი, ზლატან იბრაჰიმოვიჩი დ ჯონათან ძებინა. დიდი შანსია, ამ ფეხბურთელებმა 20 აგვისტოს იტალიის სუპერთასის მატჩი გამოტოვონ. თუმც ტურინელი ექიმები იმედიანად არიან, გუშინ კი „ბიანკონერის“ ლაზარეთს ლილიან ტურამიც შეემატა.

ვეტერანმა ფრანგმა მცველმა ეროვნულ ნაკრებში დაბრუნება ვერ მოასწრო, რომ უკვე დაშავდა. ეს ძალიან არ ესიამოვნა „ბებერი ქალბატონის“ თავკაცს ფაბიო კაპელოს. როგორც იცით, ტაქტიკოსი შიშობდა, ტურამი ზედმეტად არ გადაიტვირთოსო.

„ცხადია, კაპელო უკმაყოფილო იქნება, მაგრამ ფეხბურთში ასეთი რაღაცეები ხდება. რამდენად სერიოზულია ტრავმა, ჯერ არ ვიცი“ — აღნიშნა ტურამმა.

ამასობაში „იუვენტუსმა“ თანაქალაქელი „ტორინოსგან“ 23 წლის მარცხენა მცველი ფედერიკო ბალძარეტი დაიმატა. პერსპექტიული მცველი „დელე ალპიზე“ თავისუფალი აგენტის სტატუსით გადაბარგდა.

„ძალიან მიხარია, რომ კრისტიან აბიატი დავიმატეთ, იგი ჩინებული მეკარეა. დიდი მადლობა სილვიო ბერლუსკონის, რომლის მხრიდანაც აბიატის ერთი წლით უფასოდ დათმობა ძალიან სასიამოვნო ჟესტი გახლდათ. კმაყოფილი ვარ ბარძალეტის მოსვლითაც, იგი ჩვენი ერთ-ერთი სამიზნე იყო. ცუდი მხოლოდ გაუთავებელი ტრავმებია. იმედია, ასე აღარ გაგრძელდება“ — თქვა ფაბიო კაპელომ.

დაახლოებით იგივე შინაარსის განცხადება გააკეთა ლუჩანო მოჯიმაც. ბოლოს კი ტურინელთა გენერალური მენეჯერი ანტონიო კასანოს მიუბრუნდა: „იგი ჩინებული მოთამაშეა, მაგრამ ჩვენთან ანტონიოს ადგილი არ არის. არ გამოვრიცხავ, „მილანში“ გადავიდეს, იქ რეგულარულად თამაშის უფრო მეტი შანსი ექნება“.

**გიორგი კაკაბაძე**

# კაჭკაჭები ლუკეს ძიებაში

**ინგლისურ** „ნიუკასლს“ გალისიური „დეპორტივოს“ თავდამსხმელ ალბერტ ლუკეს შეძენა სურს. „კაჭკაჭთა“ თავკაცობა გუნდის გაძლიერებაზე ზრუნავს. ვეტერანი ალან შირერი მომავალი სეზონიდან „სენტ ჯეიმს პარკზე“ აღარ იქნება და ალბიონელებსაც გადაუწყვეტიათ მისი პოზიცია „დეპორის“ ფორვარდით შეავსონ.

თავიდან „ნიუკასლის“ ოცნება მაიკლ ოუენი გახლდათ, თუმცა მადრიდელს ისეთი ფულიანი ვეშაპები („არსენალი“, „ჩელსი“, „მანჩესტერი“) ეპატიჟებიან, რომ საეჭვოა, გრემ სუნესის კლუბმა „ვარსკვლავბიჭუნა“ ხელში ჩაიგდოს. ამიტომაც მიუმართავთ შედარებით უპრეტენზიო „დეპორტივოსთვის“.

ესპანური მედიის ცნობით, „ნიუკასლმა“ გალისიელებს ლუკეში 10 მილიონი ევრო შესთავაზა, ხოლო იქაურთა პრეზიდენტ ლენდოიროს თავისი თავდამსხმელი 18 მილიონად შეუფასებია. „თუ დაინტერესებულ მხარეებს რაიმე განსაკუთრებულმა დაბრკოლებამ არ შეუშალა ხელი, ალბერტ ლუკე „სენტ ჯეიმს პარკზე“ 15 მილიონი ევროს საფასურად გადავა“ — წერდა გუშინდელი მადრიდული „ასი“. ეს თანხა კი (15 მილიონი) დაახლოებით იმდენივეა, რაც „დეპორმა“ თავის დროზე „მალიორკას“ სასურველ მოიერიშეში გადაუხადა.



ალბერტ ლუკე

შეგახსენებთ, რომ „ნიუკასლი“ ერთადერთი ევროპული გუნდი არ არის, რომელიც ლუკეს ყიდვით დაინტერესდა — „რიასორის“ ფორვარდს ბოლო წლებში „ბარსელონას“, მადრიდის „რეალის“, „სევილიას“ „ატლეტიკოს“ და „ლივერპულის“ წარმომადგენლებმაც მიაკითხეს.

**ლადო ხომერიკი**

# მანისა დენილსონს ეთამაშება



დენილსონი თურქულ აბანოში ივლის

**თურქეთის** სუპერლიგაში ალზევებულ „მანისასფორის“ პრესმდივან ჯენან იარალის თქმით, დენილსონი მალე მანისელი გახდება. იზმირული კლუბის პატრონი, მილიონერი აჰმეთ ნაზირ ზორლუ დენილსონს მსუყე ჯამაგირს ჰპირდება.

„ჩვენ „ბეტისთან“ თითქმის ყველა დეტალი შევათანხმეთ. სევილიელები ფეხბურთელს ჯერჯერობით ერთი სეზონით დაგვითმობენ და არ გამოვრიცხავ, რომ ორზეც მოვრიგდეთ“ — განაცხადა ჯენან იარალმა.

„მანისასფორი“ თურქეთის ახალდაწყებულ ჩემპიონატში „გალათასარაის“ შემდეგ მეორე ადგილზეა. აჰმეთ ნაზირ ზორლუ ფულს არ ზოგავს კარგი გუნდის გასაკეთებლად.

შეგახსენებთ, რომ დენილსონ დე ოლივეირა „ბეტისში“ 1995 წელს 22 მილიონი ევროს სანაცვლოდ „სან პაულუდან“ გადავიდა, მაგრამ პირველივე სეზონის შემდეგ ფინტების ოსტატ ბრაზილიელს დაღმარსვლა დაეწყო. 2000-ში ერთი წლით „ფლამენგოს“ ათხოვეს, მერე კი ისევ „ბეტისში“ დაბრუნდა.

**ვაჟა უციშვილი**



რიკარდო კარვალიომ ჟოზე მაურინიუ გააბრაზა

# გარჩევა პორტუგალიურად

## კარვალიუმ მაურინიუ ახსენა

**ლონდონის** „ჩელსიში“ ჟოზე მაურინიუს გაბატონებიდან ერთი წლის თავზე გუნდური იდილია რიკარდო კარვალიუმ დაარღვია. პორტუგალიელი მცველი თვისტომ მწვრთნელს აუჯანყდა, რადგან „უიგანთან“ ძირითად შემადგენლობაში არ ათამაშეს. კარვალიუს, რომელიც შარშან 20 მილიონ გირვანქად „პორტუდან“ შეიძინეს, არ ესმის, რატომ აითვალისწუნა მწვრთნელმა.

„მანჩესტერ იუნაიტედის“ თავკაცმა ალექს ფერგიუსონმა იწინასწარმეტყველა „ჩელსიში“ ვითარების არევა. ნაკრების ფეხბურთელებს მსოფლიოს მომავალ ჩემპიონატზე თამაში სურთ და ძირითად შემადგენლობაში მოხვედრისთვის ბრძოლას გააჩაღებენ, რაც [illegible]რგულთა წყრომას გამოიწვევს.

„მსურს ვიცოდე, რატომ არ მათამაშებს — თქვა კარვალიუმ — მიზეზს ვერ ვიგებ, რადგან არაფერს მეუბნება. გულწრფელად გეტყვით, ბევრი ვიფიქრე და უთამაშებლობის მიზეზი ვერ ვიპოვე. „პორტუშიც“ არ მქონია მთლად [illegible]ბილი ურთიერთობა მაურინიუსთან. განსაკუთრებით მისი მოსვლის პირველ წელიწადს და არ მსურს, რომ აქაც იგივე განმეორდეს.“

ჟოზე მაურინიუ კარვალიუს ნათქვამმა გააბრაზა და მის დაჯარიმებას აპირებს, რომ გუნდში დისიდენტებს პროტესტის სურვილი გაუქროს.

**ვაჟა ხუციშვილი**

# პატარა ზიზუ

**მომავალ** ზიდანად მონათლული მურად მეგნი „სოშომ“ „ბოლონიიდან“ ერთი სეზონით ითხოვა. კლერფონტანის აკადემიის აღზრდილს საფრანგეთში არასოდეს უთამაშია. პირველი პროფესიული კონტრაქტი 16 წლისამ „კანთან“ გააფორმა. მაგრამ „კანს“ უფულობის გამო 2000-ში მოყვარულთა ლიგაში უკრეს თავი. იმავე წლის ზაფხულში „ბოლონიამ“ წაიყვანა და მეგნიმ ხუთ წელიწადი იტალიაში გაატარა. თავიდან ორი სეზონი ბოლონიელთა მეორე გუნდში იყო, 2001-ში კი მსოფლიოს ჩემპიონი გახდა ფრანგ 17-წლამდელთა შორის.

მუხლის ტრავმის მოშუშების შემდეგ მურად მეგნიმ სერია A-ში 37 მატჩში ითამაშა და ხუთი გოლი გაიტანა. „ბოლონია“ სერია B-ში ჩაქვეითდა. „სოშომ“ კი როდესაც ნახევარდაცვაში უჭირს, ფეხბურთელი ერთი წლით წაიყვანა შემდგომში კონტრაქტის გამოსყიდვის უფლებით.

„ჩვენ პატარა ზიდანი დიდ მეგნიდ უნდა ვაქციოთ“ — თქვა სოშოელთა პრეზიდენტმა ჟან კლოდ პლესიმ.

**ვაჟა ხუციშვილი**



მურად მეგნი

# 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. ევროპა

## ათასი რუმინული ასოცდახუთი ჰაჯური



ადრიან მუტუ ნაკრებში დუბლით დაბრუნდა

I ჯგუფი

**რუმინეთი 2:0 ანდორა**

1:0, 2:0 მუტუ (29, 41)

**ანდორამ** იყოჩაღა და რუმინეთისგან მხოლოდ ორი ბურთი გაუშვა. ადრიან მუტუმ შესვენებამდე დუბლი შეასრულა. იქამდე კი ანდორელთა მეკარემ რამდენჯერ ივარგა და რუმინელები ანერვიულა, მაგრამ მუტუს თავურს ვერაფერი მოუხერხა. „იუვენტუსის" ფორვარდმა კოზმინ კონტრას პასით ანგარიში გახსნა. ტაიმის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე ტურინელმა კოხტად გაიტანა — ოციოდ მეტრიდან ბურთი კარის ცხრიანში შეაძვრინა.

ეს რუმინეთის ნაკრების მეათასე გოლი გამოდგა.

შეხვედრას დაესწრო გეორგ ჰაჯი, რომელიც 37 წლის დორინელ მუნტიანუს „აკვირდებოდა". აღმოჩნდა, რომ მუნტაინუმ ჰაჯის რეკორდი (125 სანაკრებო მატჩი) გაიმეორა.

ჯგუფის მეორე მატჩში მაკედონია შინ ფინეთთან დამარცხდა. ფინელთა დროებითი მწვრთნელი ირკი ჰელსკოსი გახარებული იყო: ძალიან მიხარია გამარჯვება, რადგან მომდევნო მატჩისთვის გუნდი უფრო მოტივირებული იქნება". სამივე გოლი სტუმრებმა მეტოქის დაცვის შეცდომების ხარჯზე გაიტანეს. გაფინელებულმა რუსმა ალექსეი ერემენკომ დუბლი მიითვალა, მესამე კი პაულუს როიამ შეაგდო.

**ვაჟა ხუციშვილი**

**მაკედონია 0:3 ფინეთი**

0:1, 0:2 ერემენკო (7, 45), 0:3 როია (87)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰოლანდია | 8 | 7 | 1 | 0 | 20:3 | 22 |
| ჩეხეთი | 8 | 7 | 0 | 1 | 28:7 | 21 |
| რუმინეთი | 10 | 6 | 1 | 3 | 17:10 | 19 |
| ფინეთი | 8 | 4 | 0 | 4 | 16:14 | 12 |
| მაკედონია | 10 | 2 | 2 | 6 | 10:19 | 8 |
| სომხეთი | 9 | 1 | 1 | 7 | 5:20 | 4 |
| ანდორა | [illegible] | [illegible] | [illegible] | 7 | 4:27 | 4 |

IV ჯგუფი

**ფარერები 0:3 კვიპროსი**

0:1, 0:2 მ. კონსტანტინუ (39, 86), 0:3 კრასასი (90)

**გაძევება:** ლუფტერისი (45, კვიპროსი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ირლანდია | 7 | 3 | 4 | 0 | 11:4 | 13 |
| შვეიცარია | 6 | 3 | 3 | 0 | 13:4 | 12 |
| ისრაელი | 7 | 2 | 5 | 0 | 10:8 | 11 |
| საფრანგეთი | 6 | 2 | 4 | 0 | 5:1 | 10 |
| კვიპროსი | 7 | 1 | 1 | 5 | 7:12 | 4 |
| ფარერები | 7 | 0 | 1 | 6 | 3:20 | 1 |

## მოულოდნელი ფრეები

III ჯგუფი

**ლატვია 1:1 რუსეთი**

1:0 ასტაფიევსი (6), 1:1 არშავინი (26)

**ლიხტენშტაინი 0:0 სლოვაკეთი**

**რუსეთი** დაუზავლა ლატვიას და ჯგუფში მეორე ადგილზე გასვლის შანსი გაიუარესა. „შესვენებამდე თამაში ვერ ავაწყვეთ — თქვა ნამატჩევს იური სიომინმა — მასპინძლებმა სწრაფად გაგვიტანეს, რამაც რთულ ვითარებაში ჩაგვაგდო. ცხადია, მოგება გვსურდა, მაგრამ ლატვიელებსაც არანაკლებ სწყუროდათ გამარჯვება. ზოგიერთმა ფეხბურთელმა აშკარად ვერ გაამართლა ჩემი იმედი. ფრე კანონზომიერი შედეგია, ორი ქულის დაკარგვამ კი საქმე გაგვირთულა, თუმც ჯგუფიდან გასასვლელად ბოლომდე ვიბრძოლებთ".

ანგარიში ვიტალის ასტაფიევსმა მეექვსე წუთზე გახსნა — რიმკუსის ჩაწოდებულ ბურთს თავი ლონივრად დაჰკრა და აკინფეევს გაუტანა. ამის შემდეგ რუსთა მცველი სენნიკოვი შეცდა, როცა მეკარეს უხეიროდ დაუგორა ბურთი, რომელიც ჩასაფრებულ ვერპაკოვსკისს მოუვიდა. მაგრამ მის დარტყმულს კარის ხაზზე თავადვე სენნიკოვმა მიუსწრო.

სტუმრებმა არშავინის წყალობით გაქვითეს კოლინკოსთან პირისპირ გასულ ზენიტელ ფორვარდს პირველი დარტყმა მეკარემ აუღო, მაგრამ მან მეორე ცდაზე იმარჯვა და გაათანაბრა.

თამაშის მიწურულს მასპინძლებს დაღლა დაეტყოთ. რუსები კი მეტოქის საჯარიმოში ჩასახლდნენ. რამდენიმე საგოლე მომენტი ვერ გამოიყენეს. კერჟაკოვმა ბურთი ძელს გაარტყა.

ჯგუფის მეორე მატჩში, რომელიც ვადუცში გაიმართა, ლიხტენშტაინმა სასწაული ჩაიდინა — არ წააგო სლოვაკებთან, რომელთანაც შარშან სექტემბერში სტუმრად 0:7 დამარცხდა. მასპინძლებს ისე გაუხარდათ ფრე, რომ შეხვედრის დასასრულს პეტარდები ისროლეს და მინდორზე ფეხბურთელები კვამლში აღარ ჩანდნენ.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 8 | 6 | 2 | 0 | 24:4 | 20 |
| სლოვაკეთი | 9 | 5 | 3 | 1 | 22:7 | 18 |
| რუსეთი | 8 | 4 | 3 | 1 | 16:11 | 15 |
| ლატვია | 9 | 4 | 2 | 3 | 16:15 | 14 |
| ესტონეთი | 9 | 3 | 2 | 4 | 12:15 | 11 |
| ლიხტენშტაინი | 9 | 1 | 2 | 6 | 9:19 | 5 |
| ლუქსემბურგი | 8 | 0 | 0 | 8 | 4:32 | 0 |



ასტაფიევსისა და კარიაკას ორთაბრძოლა

# ამხანაგური მატჩი

## ამხანაგური ზავი



მიხაელ ბალაკის (№13) გერმანიამ ორი ბურთის გაქვითვა შეძლო

**ჰოლანდია 2:2 გერმანია**

1:0, 2:0 რობენი (3, 46), 2:1 ბალაკი (49), 2:2 ასამოა (80)

**ჰოლანდია:** ვან დერ სარი, ბულარუზი, ოპდამი, კრომკამპი (ვან დერ ვაარტი 46), დე კლერი (ბუმა 46), ლანძაატი, მადურო (მეიტინგა 53), კოკუ, რობენი, ვან ნისტელროოი (მაკაი 46), კუიტი (ვან პერსი 46)

**მწვრთნელი:** მარკო ვან ბასტენი

**გერმანია:** კანი, ვიორნსი, ფრიდრიხი (ჰინკელი 74), მერტესაკერი (ჰუტი 67), შნაიდერი, ფრინგსი (ჰიტცლშპერგერი 67), ჰამანი (ბოროვსკი 74), ბალაკი, ერნსტი (დაისლერი 46), კურანი, კლოზე (ასამოა 46)

**მწვრთნელი:** იურგენ კლინსმანი

**მსაჯი:** ტერიე ჰაუგე (ნორვეგია)

**ჰოლანდიელთა** მწვრთნელმა მარკო ვან ბასტენმა ტრადიციას არ უღალატა და როტერდამში ნასტუმრებ გერმანიას კვლავ სამი თავდამსხმელით დაუხვდა. „ნარინჯისფერთა" შემტევმა ტრიომ — ვან ნისტელროიმ, არიენ რობენი, დირკ კუიტი — განსაკუთრებით პირველ ტაიმში გვარიანად აწვალა ბუნდესნაკრების დაცვა, რომლის ცენტრებიც მერტესაკერს იურგენ კლინსმანმა ნაკრებში კარგა ხნის უთამაშებელი კრისტიან ვიორნსი შეუწყვილა. სწორედ ვიორნის უხეიროდ მოგერიებულ ბურთს მოჰყვა ოლივერ კანის კარში პირველი ჰოლანდიური გოლი. ეს ამბავი მატჩის დასაწყისში, მე-3 წუთზე მოხდა. გოლი კი მასპინძელთაგან უდავოდ საუკეთესო მოთამაშემ, არიენ რობენმა მიითვალა.

გოლგაგემოვნებულმა ჰოლანდიელებმა დაბნეულ სტუმრებს გულდაგულ შეუტიეს და პირველ ნახევარშივე შეეძლოთ საქმის მომთავრება. ჯერ იყო და, რუუდ ვან ნისტელროოი ოლივერ კანს პირისპირ შეეყარა, მაგრამ უზუსტოდ დაარტყა, მე-19 წუთზე კი დენი ლანძაატმა დააქუხა შორიდან. თუმც ამჯერად „ნაციონალმანშაფტი" ხარიხამ იხსნა. გერმანელები ტაიმის შუაწელიდან გამოცოცხლდნენ, რამდენჯერმე ვან დერ სარის კარისკენაც გაიწიეს, მაგრამ მიხაელ ბალაკის სამი არაზუსტი დარტყმის გარდა ვერაფერს გამოირჩნენ.

მეორე ტაიმის დაწყება და ჰოლანდიელთა მეორე გოლი ერთი იყო. თავი კვლავ არიენ რობენმა გამოიჩინა, რომელმაც კანი გააცურა და ბურთი კარში ააფართხალა. სამიოდ წუთში სტუმრებმაც გაიხარეს. ნაკუთხურალ ბურთის მიხაელ ბალაკმა ისეთი უთავაზა, რომ ვან დერ სარს შანსი არ დაუტოვა.

მარკო ვან ბასტენმაც და იურგენ კლინსმანმაც შეცვლებისთვის მოიცალეს, თამაში კი კვლავ მასპინძლებისა იყო და „დე კუიპზე" შეკრებილი 45 ათასი ქომაგი მესამე გოლის მოლოდინში ყიჟინას სცემდა, არადა, გოლი 81-ე წუთზე საპირისპირო კარში შევარდა. მოროსლავ კლოზეს ნაცვლად მოედანზე შესულმა ჯერალდ ასამოამ ტიმ ბოროვსკის ფლანგური პასი შეირგო და ძლიერი დარტყმით ამხანაგური 2:2 გამოაცხო.

**სოსო კოტორაშვილი**

# ამხანაგური მატჩები

## ზიდანით სულ სხვაა!



„ზიზუ“ ღირსეულად დაბრუნდა

**საფრანგეთი 3:0 კოტ დივუარი**
1:0 გალასი (30), 2:0 ზიდანი (62), 3:0 ანრი (66)
**საფრანგეთი:** კუპე, ტურამი (სკილაჩი 23), სანიოლი, ბუმსონგი, გალასი, დორასო, მაკელელე (ა. გიარა 88), ვილტორდი (ტრეზეგე 79), ზიდანი, მალუდა (როტენი 72), ანრი (ჯ. სისე 72)
**მწვრთნელი:** რაიმონ დომენეკი
**კოტ დივუარი:** ტიზიე, კ. დომორუდი, ზორო (ებუ 46), კ. ტურე, ბოკა, ზოკორა (დემელი 70), იაპი, ბ. კალუ (რომარისი 46), ტიენი (ფაე 46), დინდანე, დროგბა (კონე 78)
**მწვრთნელი:** მიშელ ენრი
**მსაჯი:** პაოლო ბერტინი (იტალია)

**ევრო 2004-ის** შემდეგ ზინედინ ზიდანი ნაკრებიდან რომ წავიდა, ფრანგებმა 11 მატჩი ითამაშეს და ერთ შეხვედრაში სამი გოლი არ გაუტანიათ. დაბრუნდა „ზიზუ“ და საფრანგეთი-კოტ დივუარი — 3:0.

„აი, ასე უნდა თამაშობდეს ჩვენი ნაკრები. გამარჯვება გვჭირდებოდა, მოვიგეთ და თან ბევრიც გავიტანეთ, მაგრამ წინ უფრო მნიშვნელოვანი მატჩები გველის. ეროვნულ ნაკრებში გოლით დაბრუნება განსაკუთრებით სასიხარულოა“ — თქვა ზიდანმა, რომელმაც მეორე ტაიმში მაშინ გაიტანა, როცა დიდიე დროგბამ და ბონავენტურე კალუმ გასათანაბრებლად გაიწიეს. კოტ დივუარი არ იყო ჯაბანი, რაც ნამატჩევს რაიმონ დომენეკმაც აღნიშნა.

ზინედინ ზიდანის გარდა ნაკრებს კლოდ მაკელელე და ლილიან ტურამიც დაუბრუნდნენ, თუმც ტურამი პირველივე ტაიმში ტრავმის გამო შესაცვლელი გახდა.

უილიამ გალასმა, რომელსაც მატჩის დღეს 28 წელი შეუსრულდა, ანგარიში 28-ე წუთზე გახსნა და ეს მისი პირველი სანაკრებო გოლი გამოდგა. შესვენების შემდეგ აფრიკელები გულიანად მიეძალნენ მასპინძელთა საჯარიმოს, მაგრამ ზინედინ ზიდანის გოლმა ისინი დააცხრო, ხოლო ოთხი წუთის შემდეგ გალასავით იუბილარმა ტიერი ანრიმ მესამე მიაყოლა.

„არავინ იცის, რა მოხდებოდა, ზიდანი რომ არ ყოფილიყო — განაცხადა დომენეკმა — მეტოქე მომენტებში გვჯობნიდა, მაგრამ „ზიზუს“ გოლმა აფრიკელების მონდომება გაანელა. გამარჯვების მიუხედავად, ეიფორიაში არ უნდა ჩავვარდეთ. გაცილებით რთული მატჩი გველის ირლანდიაში.“

ტიერი ანრი: „მთავარი ისაა, რომ ლალად ვითამაშეთ, რაც ადრე გვაკლდა, ძველგვარდიელთა დაბრუნებამ აშკარად გვიშველა“.

**გაჟა ხუციშვილი**

## დიდა გაძარცვეს

**ხორვატია 1:1 ბრაზილია**
1:0 ნ. კრანჩარი (32), 1:1 რიკარდინიო (42)
**ხორვატია:** ბუტინა (პლეტიკოშა 60), ტომასი (სიმიჩი 46), რ. კოვაჩი, სიმუნიჩი, სრნა, ტუდორი, ნ. კოვაჩი (ვრანიეში 87), ბაბიჩი, ნ. კრანჩარი (სერიჩი 83), კლასნიჩი (ბალაბანი 78), ოლიჩი (ედუარდო 51)
**მწვრთნელი:** ზლატკო კრანჩარი
**ბრაზილია:** დიდა, ჟუანი, კაფუ, ლუსიო (ლუიზაო 83), რობერტო კარლოსი, ემერსონი, რიკარდინიო (რობინიო 46), ზე რობერტო (რენატო 66), კაკა (ჟუნინიო 66), რონალდო (რიკარდო ოლივეირა 75), ადრიანო (ჟულიო ბაპტისტა 75)
**მწვრთნელი:** კარლოს ალბერტო პარეირა
**მსაჯი:** ურს მეიერი (გერმანია)

**სპლიტის** სტადიონზე მსოფლიოს ჩემპიონთა სანახავად შეკრებილმა ქომაგებმა ლაღი ფეხბურთით გვარიანად ისიამოვნეს. 2003 წლის მარტში პორტუგალიასთან 1:2 წაგების შემდეგ ბრაზილია ევროპულ ნაკრებთან არ დამარცხებულა და არც ამჯერად წააგო.

ხორვატებმა თამაშის დაწყებიდან ოც წუთში სამი სახიფათო მომენტი შექმნეს დიდას კართან, რომელიც მოგვიანებით შეცდა და მასპინძლები დაწინაურდნენ. ივიცა ოლიჩმა ბრაზილიელ მეკარეს ბურთი „მოჰპარა“, მაგრამ ძელს მოარტყა, გადმოვარდნილს კი ნიკო კრანჩარმა მოუსწრო და საგოლედ დაარტყა.

პირველი ტაიმის დასრულებამდე სამი წუთით ადრე რიკარდინიომ საჯარიმო ბრწყინვალედ შეასრულა — დაახლოებით ოცი მეტრიდან ბურთი ბუტინას კარის ცხრიანში შეაბრძანა.

შესვენების შემდეგ რონალდოს შეეძლო ბრაზილიელთა დაწინაურება, როცა ტომისლავ ბუტინასთან პირისპირ აღმოჩნდა, მაგრამ ხორვატთა მეკარეს გაუმართლა, რადგან რონალდინიომ კარს ვერ დაუმიზნა.

ცოტა ხნის შემდეგ ადრიანომ თავური დაჰკრა და ძელი შეატოკა, ხოლო თამაშის მიწურულს ბოშკო ბალაბანმა ასპროცენტიანი მომენტი ჩააფლავა — ხუთიოდ მეტრიდან კარს ააცილა.

„ჩილესთან შეხვედრამდე ეს კარგი მოსამზადებელი მატჩი იყო — თქვა კარლოს ალბერტო პარეირამ. რონალდო და ადრიანო ჯერ სასურველ ფორმაში არ არიან, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ ორ კვირაში უკეთესად ათამაშდებიან“.

**გაჟა ხუციშვილი**



რონალდომ სპლიტში სათანადოდ ვერ იბურთავა



გაბრიელ ჰაინცე

## მარადონა — მესის ხანმოკლე ბედნიერება

**უნგრეთი 1:2 არგენტინა**
0:1 როდრიგესი (19), 1:1 ტორდელე (29), 1:2 ჰაინცე (61)
**უნგრეთი:** კირალი, ხუაზი, ბოდნარი, ედერი, ჰალმოსი (პრისკინი 69), უშტი, ტაკასი, ბური (კენეში 69), ვანჟაკი (ტოზი 87), გერა, ტორგჰელე (კერეკეში 69)
**მწვრთნელი:** ლოთარ მათეუსი
**არგენტინა:** ფრანკო, აიალა, სკალონი, ჰაინცე, სორინი, გონსალესი (ზაბალეტა 81), ბერნარდი, როდრიგესი, დალესანდრო (სანტანა 88), ლოპესი (მესი 63), კრესპო
**მწვრთნელი:** ხოსე პეკერმანი
**გაძევება:** მესი (65)
**მსაჯი:** მარკუს მერკი (გერმანია)

**სულ** ორჯერ შეეხო ლეო მესი ბურთს უნგრეთ-არგენტინის ამხანაგურ შეხვედრაში. პირველად სკალონის პასი მიიღო და დეალესანდროს ჩააწოდა. მეორედ და უკანასკნელად) კი მაშინ, როცა რუდო ვანჟაკს მოხერხებული ფინტით აუარა გვერდი. უნგრელმა პატაგონიელი მოიერიშე ჭიდაობის ილეთით შეაჩერა. მესი შეეცადა, თავი დაეღწია და ამ ჯაჯგურში ევროპელს სახეში ჩაჰკრა ხელი. შედეგად მატჩის გერმანელი არბიტრი მარკუს მერკი ვანჟაკს ყვითელი, ხოლო არგენტინელს წითელი ბარათით აჯილდოებს... „ბარსელონას“ ფორვარდს მშობლიურ ნაკრებში დებიუტი ჩამწარდა, მესიმ „ფერენც პუშკაშ სტადიუმზე“ ზუსტად 30 წამი დაჰყო...

„რა თქმა უნდა, ლეოს ამბავი ძალიან მეწყინა, თუმცა დებიუტი მაინც მოვულოცე. ბოლოს და ბოლოს მოედანზე გასვლა და არგენტინის მაისურით ბურთაობა მცირე ხნით მაინც შეძლო. მარკუს მერკის უსამართლო გადაწყვეტილება მწარე მოგონებად დაგვრჩება, მესი კი თავის სათქმელს მომავალ მატჩებში იტყვის“ — განაცხადა შეხვედრის შემდეგ ხოსე პეკერმანმა, სტუმართა დამრიგებელმა, 18 წლის თავდამსხმელს სამშობლოში მეორე მარადონად მიიჩნევენ, ამიტომაც ელოდებოდა მთელი არგენტინა ლეოს დებიუტს, აქაოდა, თავის დროზე დიეგოც უნგრეთთან გამოჩნდა პირველად ნაკრებში (1977) და მესიმაც მადიარებთან თავი უნდა გამოიჩინოსო. რა გაეწყობა, ბედს და პატივცემულ მარკუს მერკს ლეო მესის მარადონად გადაქცევა რატომღაც არ მოეწონათ.

ეს ყველაფერი მატჩის 65-ე წუთზე მოხდა, იქამდე კი „ფერენც პუშკაშზე“ შეკრებილ 12 ათას ფანს განსაკუთრებული და გამაოგნებელი არაფერი უნახავს. არგენტინელებმა მეტოქეს სჯობდნენ და ანგარიშიც მათ გახსნეს — სორინის პასით მაქსი როდრიგესმა მე-19 წუთზე თავურით გაიტანა. 29-ეზე უნგრელმა ტორგჰელემ საპასუხო შეაგდო, 8 წუთის მერე კი გონსალესმა ივარგა, თუმც ხსენებულმა მერკმა თამაშგარე აღნიშნა და ტაბლოზეც კვლავ ოდინდელი ერთით ერთი. მეორე ტაიმში ევროპელები შესამჩნევად გააქტიურდნენ, ფრანკოს კართან თითო-ოროლა სახიფათო ეპიზოდიც შექმნეს, ოღონდ გოლი მაინც მომხვდურმა გუნდმა იხეირა — 61-ე წუთზე გაბრიელ ჰაინცემ კუთხურიდან მოწოდებულ ბურთს იღბლიანი თავური დაახვედრა. მერე პეკერმანმა მოედანზე ლოპესის ნაცვლად მესის მოუხმო და... ანგარიში კი საფინალო სასტვენამდე იგივე გახლდათ — 1:2.

**ლადო ხომერიკი**

**შვედეთი 2:1 ჩეხეთი**
1:0 ლარსონი (20), 1:1 კოლერი (22პ), 2:1 როსენბერგი (25)
**პორტუგალია 2:0 ეგვიპტე**
1:0 ფ. მეირა (50), 2:0 პოსტიგა (70)
**ნორვეგია 0:2 შვეიცარია**
0:1 ფრეი (50), 0:2 ბერგდოლმო (59ს.კ.)
**პოლონეთი 3:2 ისრაელი**
1:0 ჟივკოვიაკი (19), 1:1 ბადირი (35), 1:2 კატანი (46), 2:2, 3:2 რასიკი (77, 89)
**გაძევება:** ბორუცი (33, პოლონეთი)
**ბულგარეთი 3:1 თურქეთი**
0:1 ტეკე (21), 1:1 ბერბატოვი (25), 2:1 მ. პეტროვი (38), 3:1 ბერბატოვი (43)
**ალბანეთი 2:1 აზერბაიჯანი**
**ლიტვა 1:0 ბელარუსი**

**ესტონეთი 1:0 ბოსნია**
**მალტა 1:1 ჩრდ. ირლანდია**
**უელსი 0:0 სლოვენია**
**ავსტრია 2:2 შოტლანდია**
**ისლანდია 4:1 სამხრეთ აფრიკა**
**ანგოლა 2:1 კაბო ვერდე**
**ლიბია 0:1 ნიგერია**
**პარაგვაი 3:1 სალვადორი**
**მაროკო 0:1 ტოგო**
**სენეგალი 0:0 განა**
**იორდანია 0:0 სომხეთი**
**ეკვადორი 3:1 ვენესუელა**
**პერუ 3:1 ჩილე**
**უელსი 0:0 სლოვენია**

# ამხანაგური მატჩები



იტალიელები ანდრეა პირლოს გოლით ხარობენ



ალბერტო ჯილარდინო

## პროგრესული და ტრავმიანი იტალია

**ირლანდია 1:2 იტალია**

0:1 პირლო (10), 0:2 ჯილარდინო (31), 1:2 ა. რიდი (32)

**ირლანდია:** გივენი, კანინგენი, ოში (მილერი 77), დანი (ობრაიენი 46), ფინანი (კარი 57), ს. რიდი, კილბეინი, ჰოლანდი (ჰარტი 38), ა. რიდი (ელიოტი 73), დაფი, მორისონი

მწვრთნელი: კერი ბრაიანი

**იტალია:** რომა, კანავარო (ბარძალი 62), ძაკარდო, ნესტა (მატერაცი 46), ძამბროტა, გატუზო, პირლო (ბარონი 75), დე როსი (დიანა 46), ვიერი, ჯილარდინო (იაკინტა 46), დელ პიერო (გროსო 46)

მწვრთნელი: მარჩელო ლიპი

მსაჯი: პაულო კოსტა (პორტუგალია)

**დუბლინში** ტრავმების გამო გვარიანად შესუსტებული შემადგენლობით ჩასულმა იტალიამ მაინც მოახერხა გამარჯვება და მშვენიერი შთაბეჭდილება დატოვა.

„სკუადრა ადურა" უპირატესობას თავიდანვე დაეუფლა და უკვე მე-2 წუთზე ალესანდრო დელ პიეროს პასით ვიერის გატანა შეეძლო, მაგრამ „ბობომ" შანსი ხელიდან გაუშვა, თუმც მე-10 წუთზე სტუმართა იერიშებს შედეგი მაინც მოჰყვა — ანდრეა პირლომ სახიფათო კუთხური ზუსტი დარტყმით დააგვირგვინა.

მატჩი იგივე სცენარით გაგრძელდა. ტაიმის მიწურულს ვიერის კიდევ ერთი კარგი მომენტი შეექმნა, მაგრამ ვეტერანმა ფორვარდმა მხოლოდ ხარიხის შეზანზარება შეძლო. ცოტა ხანში კი დელ პიერომ ალბერტო ჯილარდინოს კარგად უპასა და 2:0.

არ გასულა ერთი წუთიც, რომ „პალერმოს" მცველი კრისტიან ძაკარდო უხეშად შეცდა, რითაც ენდი რიდმა ჩინებულად ისარგებლა და ერთი ბურთი გაქვითა, ტაიმის ბოლომდე ძაკარდო კიდევ ერთხელ დაიბნა, მაგრამ ამჯერად დაზღვევაზე ფაბიო კანავარომ ივარგა.

შესვენების შემდეგ მარჩელო ლიპიმ 4 ფეხბურთელი შეცვალა. მინდვრიდან დელ პიერო და ჯილარდინო გაიყვანა და შესაბამისად, 4-3-3 4-4-2-ად გადააწყო.

მეორე ნახევარში განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, იტალიელები მცირე უპირატესობას ფლობდნენ და რამდენიმე მომენტიც ჰქონდათ, მაგრამ ანგარიში არ შეცვლილა.

ისიც ვთქვათ, რომ დაშავებული ბუფონის ნაცვლად აპენინელთა კარს საკმაოდ გამოცდილი ფლავიო რომა იცავდა. „მონაკოს" გოლკიპერს ბევრი საქმე არ ჰქონია. ირლანდიელებმა იგი სულ რამდენჯერმე შეაწუხეს.

მარჩელო ლიპი: „ნაკრების პროგრესი მახარებს. უფრო და უფრო ვხვეწთ თამაშს. შედეგითაც კმაყოფილი ვარ, მაგრამ ბევრად მეტის გატანაც შეგვეძლო".

„სამი თავდამსხმელით თამაშმა გაამართლა. დასანანია, რომ ვიერიმ გოლი ვერ გაიტანა, არადა, ბევრი მომენტი ჰქონდა და ნამდვილად იმსახურებდა. კარგად ითამაშა დელ პიერომაც, იგი უფრო უკან იყო დახეული და მეტოქეს ბევრ პრობლემას უქმნიდა. თანაც ჩინებული საგოლე პასი მომცა. ასევე მახარებს, რომ მოედანზე „მილანის" ხუთი მოთამაშე იყო" — განაცხადა ალბერტო ჯილარდინომ.

**გიორგი ძაძაბაძე**

## ურუგვაის ვისენტე და რეალი უგებს



ვისენტეს (მარცხნივ) გოლი პირველმა ფერნანდო მორიენტესმა მიულოცა

**ესპანეთი 2:0 ურუგვაი**

1:0 პაბლო გარსია (24ს.კ.), 2:0 ვისენტე (36პ)

**ესპანეთი:** რეინა, მარჩენა, სალგადო (სერხიო რამოსი 59), პუიოლი, დელ ორნო (ა. ლოპესი 71), ხოაკინი (ლუის გარსია 59), ხავი, ხაბი ალონსო (სერხი 46), ვისენტე, რაული (ლუკე 68), მორიენტესი (ტორესი 46)

მწვრთნელი: ლუის არაგონესი

**ურუგვაი:** კარინი, დ. ლოპესი, სორონდო, ბარელა (დ. პერესი 77), როდრიგესი, ესტოიანოფი (რეგუერო 46), დელგადო (ო. მორალესი 60), პაბლო გარსია, კასტრო (რეკობა 46), რ. მორალესი (ზალაიეტა 70), ფორლანი (ტეხერა 65)

მწვრთნელი: ხორხე ფოსატი

მსაჯი: ბარტოლო ბენჟუგა (პორტუგალია)

**ლუის არაგონესის** ესპანეთმა ხიხონის „სპორტინგის" „ელ მოლინონზე" ხორხე ფოსატის ურუგვაი „წმინდა ესპანური გოლებით" დაამარცხა. დამაგვირგვინებელი მეორე ბურთი ვალენსიელმა ვისენტემ შეაგდო, იქამდე კი საკუთარი კარის დალაშქვრით მადრიდის „რეალის" ურუგვაელმა პაბლო გარსიამ „იხეირა".

„ნაკრებს ცუდი თამაში არ უჩვენებია. ურუგვაი სუსტი მეტოქე არ გახლავთ, ამიტომაც ამ 2:0-ზე სასაყვედურო არაფერი გვეთქმის" — ეწერა გუშინ მადრიდულ „მარკაში".

17 აგვისტოს ამხანაგური ჯახი ესპანელთა იერიშებით დაიწყო, თუმც ოკეანისგაღმელთა კარგი დაცვის წყალობით ლუისის მოიერიშეებს კარინის კართან თავიდან ბევრი ხიფათი არ შეუქმნიათ. გამორჩეულად მხოლოდ ვისენტე აქტიურობდა. სწორედ ამ უკანასკნელის შეტევამ გაახარა 24-ე წუთზე „ელ მოლინონი" — ვალენსიელი კარინის სიახლოვეს მარცხენა ფლანგიდან შეიჭრა და ბურთი რაულს გადაუგდო, თუმც გარსიამ თანაკლუბელს დაასწრო და მოგერიების ნაცვლად ლამაზი გოლი გაიტანა.

აქედან მოყოლებული, კასტილიელები უფრო და უფრო მძაფრად უტევდნენ, სამხრეთამერიკელები კი ძირითადად მათთან ჯაჯგურით და უხეში ბიძგებით იყვნენ დაკავებულნი. 37-ე წუთზე რაული სტუმართა ლოპესს სწრაფად გასცდა, მან კი, რახან სხვა გზა არ დარჩენოდა, ესპანელთა კაპიტანი საჯარიმოში წააქცია და მსაჯისგან პენალტიც მოიმკო. თერთმეტმეტრიანის დასარტყმელად მატჩის გმირი ვისენტე მიდის და ტაბლოზე 2:0 ინთება.

მეორე ტაიმში (თუ ისევ ვისენტეს ლამაზ ბურთაობას არ ჩავთვლით), ბევრი არაფერი მომხდარა და ლუის არაგონესის ბიჭებმაც ეს გამარჯვება ავლანეთში დაღუპულ 17 ესპანელ სამხედროს მიუძღვნეს, რომელთა ხსოვნასაც მატჩის წინ ხალხმა პატივი წუთიერი დუმილით მიაგო.

**ლადო ხომერიკი**

### 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. აზია. VI ტური

**A ჯგუფი**

სამხრეთ კორეა 0:1 ს. არაბეთი

უზბეკეთი 3:2 კუვეიტი

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ს. არაბეთი | 6 | 4 | 2 | 0 | 10:1 | 14 |
| სამხ. კორეა | 6 | 3 | 1 | 2 | 9:5 | 10 |
| *უზბეკეთი* | 6 | 1 | 2 | 3 | 7:11 | 5 |
| კუვეიტი | 6 | 1 | 1 | 4 | 4:13 | 4 |

**B ჯგუფი**

იაპონია 2:1 ირანი

ბაჰრეინი 2:3 კორეა

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იაპონია | 6 | 5 | 0 | 1 | 9:4 | 15 |
| ირანი | 6 | 4 | 1 | 1 | 7:3 | 13 |
| *ბაჰრეინი* | 6 | 1 | 1 | 4 | 4:7 | 4 |
| კორეა | 6 | 1 | 0 | 5 | 5:11 | 3 |

საუდის არაბეთი, სამხ. კორეა, იაპონია და ირანი პირდაპირ გავიდნენ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე. უზბეკეთი და ბაჰრეინი კი პლეი ოფში ითამაშებენ

### 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. აფრიკა

**გადადებული მატჩები**

**III ჯგუფი**

სუდანი 1:0 ბენინი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოტ დიუარი | 8 | 6 | 1 | 1 | 15:3 | 19 |
| კამერუნი | 8 | 5 | 2 | 1 | 14:7 | 17 |
| ეგვიპტე | 8 | 4 | 1 | 3 | 21:13 | 13 |
| ლიბია | 8 | 3 | 2 | 3 | 8:9 | 11 |
| სუდანი | 8 | 1 | 2 | 5 | 5:19 | 5 |
| ბენინი | 8 | 0 | 2 | 6 | 7:19 | 2 |

**V ჯგუფი**

ტუნისი 1:0 კენია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტუნისი | 8 | 5 | 2 | 1 | 21:7 | 17 |
| მაროკო | 8 | 4 | 4 | 0 | 14:5 | 16 |
| გვინეა | 8 | 3 | 2 | 3 | 10:8 | 11 |
| კენია | 8 | 3 | 1 | 4 | 8:12 | 10 |
| ბოტსვანა | 8 | 3 | 0 | 5 | 9:15 | 9 |
| მალავი | 8 | 0 | 3 | 5 | 8:23 | 3 |

### 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. კონკაკაფი

**VI ტური**

აშშ 1:0 ტრინიდადი და ტობაგო

გვატემალა 2:1 პანამა

მექსიკა 2:0 კოსტა რიკა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მექსიკა | 6 | 5 | 1 | 0 | 11:3 | 16 |
| აშშ | 6 | 5 | 0 | 1 | 12:3 | 15 |
| გვატემალა | 6 | 2 | 1 | 3 | 9:9 | 7 |
| კოსტა რიკა | 6 | 2 | 1 | 3 | 6:10 | 7 |
| ტრინიდადი და ტობაგო | 6 | 1 | 1 | 4 | 4:10 | 4 |
| პანამა | 6 | 0 | 2 | 4 | 3:10 | 2 |

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

სარბიელი და კროკო

# წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **20 აგვისტო** | | | | | | |
| 15:45 | 1 | მანჩესტერი-ასტონ ვილა | 1.25 | 4.80 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.24 |
| 18:00 | 2 | ნიუკასლი-ვესტ ჰემი | 1.65 | 3.40 | 5.10 | 1.11 | 1.24 | 2.03 |
| 18:00 | 3 | ტოტენჰემი-მიდლსბრო | 1.85 | 3.30 | 4.00 | 1.18 | 1.26 | 1.80 |
| 18:00 | 4 | ვესტ ბრომვიჩი-პორტსმუთი | 2.10 | 3.30 | 3.15 | 1.28 | 1.25 | 1.61 |
| 18:00 | 5 | ბლექბერნი-ფულჰემი | 1.95 | 3.30 | 3.50 | 1.22 | 1.25 | 1.69 |
| 18:00 | 6 | ჩარლტონი-უიგანი | 1.75 | 3.30 | 4.50 | 1.14 | 1.25 | 1.90 |
| 18:00 | 7 | ლივერპული-სანდერლენდი | 1.30 | 4.50 | 9.50 | 1.00 | 1.14 | 3.05 |
| 20:15 | 8 | ბირმინგემი-სიტი | 2.15 | 3.30 | 3.00 | 1.30 | 1.25 | 1.57 |
| | | **21 აგვისტო** | | | | | | |
| 16:30 | 9 | ბოლტონი-ევერტონი | 2.10 | 3.30 | 3.15 | 1.28 | 1.25 | 1.61 |
| 19:00 | 10 | ჩელსი-არსენალი | 1.90 | 3.30 | 3.60 | 1.20 | 1.24 | 1.72 |
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | **20 აგვისტო** | | | | | | |
| 18:00 | 11 | ქოვენტრი-ქპრ | 2.20 | 3.20 | 2.90 | 1.30 | 1.25 | 1.52 |
| 18:00 | 12 | კრიუ-ლესტერი | 2.50 | 3.20 | 2.50 | 1.40 | 1.25 | 1.40 |
| 18:00 | 13 | კრისტალ პალასი-პლიმუთი | 1.60 | 3.50 | 5.00 | 1.09 | 1.21 | 2.05 |
| 18:00 | 14 | დერბი-კარდიფი | 1.70 | 3.30 | 4.50 | 1.12 | 1.23 | 1.90 |
| 18:00 | 15 | ჰალი-ბრაიტონი | 1.75 | 3.30 | 4.30 | 1.14 | 1.24 | 1.86 |
| 18:00 | 16 | იფსვიჩი-უენსი | 1.70 | 3.40 | 4.30 | 1.13 | 1.21 | 1.89 |
| 18:00 | 17 | ლიდსი-ვულვერჰემპტონი | 2.40 | 3.20 | 2.55 | 1.37 | 1.23 | 1.41 |
| 18:00 | 18 | რედინგი-მილუოლი | 1.60 | 3.40 | 5.00 | 1.08 | 1.21 | 2.02 |
| 18:00 | 19 | შეფილდი-პრესტონი | 1.85 | 3.20 | 3.75 | 1.17 | 1.23 | 1.72 |
| 18:00 | 20 | საუთჰემპტონი-ნორვიჩი | 2.25 | 3.30 | 2.75 | 1.33 | 1.23 | 1.50 |
| 18:00 | 21 | სტოკი-ლუტონი | 2.25 | 3.30 | 2.75 | 1.33 | 1.23 | 1.50 |
| 18:00 | 22 | უოტფორდი-ბარნლი | 2.05 | 3.30 | 3.10 | 1.26 | 1.23 | 1.59 |
| | | **ინგლისი. I ლიგა** | | | | | | |
| | | **20 აგვისტო** | | | | | | |
| 18:00 | 24 | ბარნსლი-იოვილი | 1.85 | 3.30 | 3.70 | 1.18 | 1.23 | 1.74 |
| 18:00 | 25 | ბლეკპული-სუინდონი | 2.25 | 3.30 | 2.70 | 1.33 | 1.22 | 1.48 |
| 18:00 | 26 | ბრენტფორდი-ტრანმერი | 2.15 | 3.30 | 2.90 | 1.30 | 1.23 | 1.54 |
| 18:00 | 27 | ბრისტოლი-პორტ ვეილი | 1.70 | 3.30 | 4.30 | 1.12 | 1.21 | 1.86 |
| 18:00 | 28 | ჯილინგემი-ბორნმუთი | 1.90 | 3.30 | 3.50 | 1.20 | 1.23 | 1.69 |
| 18:00 | 29 | ჰარტლპული-უოლსოლი | 2.15 | 3.30 | 2.85 | 1.30 | 1.22 | 1.52 |
| 18:00 | 30 | დონსი-კოლჩესტერი | 2.15 | 3.30 | 2.90 | 1.30 | 1.23 | 1.54 |
| 18:00 | 31 | ნოტინგემი-სკანთორპი | 1.60 | 3.30 | 5.20 | 1.07 | 1.22 | 2.01 |
| 18:00 | 32 | ოლდემი-ჩესტერფილდი | 1.65 | 3.30 | 4.60 | 1.10 | 1.21 | 1.92 |
| 18:00 | 33 | როტერჰემი-ბრედფორდი | 2.25 | 3.30 | 2.75 | 1.33 | 1.23 | 1.50 |
| 18:00 | 34 | საუთენდი-ჰადერსფილდი | 2.45 | 3.30 | 2.50 | 1.40 | 1.23 | 1.42 |
| 18:00 | 35 | სუონსი-დონკასტერი | 2.15 | 3.30 | 2.90 | 1.30 | 1.23 | 1.54 |
| | | **ინგლისი. II ლიგა** | | | | | | |
| | | **20 აგვისტო** | | | | | | |
| 18:00 | 36 | ბარნეტი-მაკლსფილდი | 1.90 | 3.30 | 3.50 | 1.20 | 1.23 | 1.69 |
| 18:00 | 37 | ჩელტენემი-ბოსტონი | 2.20 | 3.30 | 2.80 | 1.32 | 1.23 | 1.51 |
| 18:00 | 38 | გრიმსბი-დარლინგტონი | 2.25 | 3.30 | 2.75 | 1.33 | 1.23 | 1.50 |
| 18:00 | 39 | ლეიტონი-როჩდეილი | 1.70 | 3.40 | 4.40 | 1.13 | 1.22 | 1.91 |
| 18:00 | 40 | ლინკოლნი-ოქსფორდი | 2.05 | 3.30 | 3.10 | 1.26 | 1.23 | 1.59 |
| 18:00 | 41 | პიტერბორო-მენსფილდი | 1.75 | 3.30 | 4.20 | 1.14 | 1.23 | 1.84 |
| 18:00 | 42 | რაშდენი-ჩესტერი | 2.25 | 3.30 | 2.75 | 1.33 | 1.23 | 1.50 |
| 18:00 | 43 | შრიუსბერი-ნორთჰემპტონი | 2.75 | 3.30 | 2.25 | 1.50 | 1.23 | 1.33 |
| 18:00 | 44 | სტოკპორტი-ნოტსი | 2.25 | 3.30 | 2.80 | 1.33 | 1.24 | 1.51 |
| 18:00 | 45 | ტორკი-როვერსი | 2.15 | 3.30 | 2.85 | 1.30 | 1.22 | 1.52 |
| 18:00 | 46 | რექსემი-კარლაილი | 1.80 | 3.30 | 3.75 | 1.16 | 1.21 | 1.75 |
| 18:00 | 47 | უიკომბი-ბერი | 1.60 | 3.40 | 5.00 | 1.08 | 1.21 | 2.02 |
| | | **ინგლისი. კონფერენსი** | | | | | | |
| | | **20 აგვისტო** | | | | | | |
| 18:00 | 59 | ალტრინჰემი-ფორესტ გრინი | 2.15 | 3.40 | 2.80 | 1.31 | 1.21 | 1.53 |
| 18:00 | 60 | კემბრიჯი-აკრინგტონი | 2.25 | 3.30 | 2.70 | 1.33 | 1.22 | 1.48 |
| 18:00 | 61 | კონვი-გრეივსენდი | 1.90 | 3.40 | 3.20 | 1.21 | 1.19 | 1.64 |
| 18:00 | 62 | ქროული-ჰერეფორდი | 2.65 | 3.30 | 2.25 | 1.46 | 1.21 | 1.33 |
| 18:00 | 63 | ექსეტერი-მორიკომბი | 1.90 | 3.40 | 3.40 | 1.21 | 1.21 | 1.70 |
| 18:00 | 64 | გრეისი-იორკი | 1.65 | 3.50 | 4.30 | 1.12 | 1.19 | 1.92 |
| 18:00 | 65 | ჰალიფაქსი-ალდერშოტი | 2.15 | 3.40 | 2.75 | 1.31 | 1.20 | 1.52 |
| 18:00 | 66 | სკარბორო-კიდერმინსტერი | 2.40 | 3.30 | 2.55 | 1.38 | 1.23 | 1.43 |
| 18:00 | 67 | საუთპორტი-სტივენეიჯი | 2.75 | 3.40 | 2.10 | 1.52 | 1.19 | 1.29 |
| 18:00 | 68 | ტემუორთი-დაგ ენდ რედი | 2.30 | 3.30 | 2.65 | 1.35 | 1.23 | 1.46 |
| 18:00 | 69 | უოკინგი-ბარტონი | 1.70 | 3.40 | 4.20 | 1.13 | 1.21 | 1.87 |
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **20 აგვისტო** | | | | | | |
| 15:30 | 70 | რეინჯერსი-სელტიკი | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 18:00 | 71 | ფოლკირკი-ჰიბერნიანი | 2.80 | 3.20 | 2.25 | 1.49 | 1.24 | 1.32 |
| 18:00 | 72 | ჰარტსი-აბერდინი | 1.70 | 3.30 | 4.40 | 1.12 | 1.22 | 1.88 |
| 18:00 | 73 | ინვერნესი-კილმარნოკი | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 18:00 | 74 | ლივინგსტონი-დანფერმლაინი | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 18:00 | 75 | მოზერუელი-დანდი იუნაიტედი | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| | | **შოტლანდია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **20 აგვისტო** | | | | | | |
| 18:00 | 76 | ბრეჩინი-ერდრი | 1.95 | 3.50 | 3.00 | 1.25 | 1.18 | 1.61 |
| 18:00 | 77 | დანდი-ქუინი | 1.55 | 3.50 | 5.00 | 1.07 | 1.18 | 2.05 |
| 18:00 | 78 | როსი-ჰამილტონი | 2.30 | 3.40 | 2.50 | 1.37 | 1.19 | 1.44 |
| 18:00 | 79 | სტ.ჯონსტონი-სტ.მირენი | 1.75 | 3.50 | 3.70 | 1.16 | 1.18 | 1.70 |
| 18:00 | 80 | სტრანრარი-კლაიდი | 2.20 | 3.40 | 2.70 | 1.33 | 1.21 | 1.50 |
| | | **შოტლანდია. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **20 აგვისტო** | | | | | | |
| 18:00 | 81 | ალოა-რეითი | 2.20 | 3.40 | 2.60 | 1.33 | 1.19 | 1.47 |
| 18:00 | 82 | ეარი-პიტერჰედი | 1.85 | 3.60 | 3.40 | 1.22 | 1.19 | 1.74 |
| 18:00 | 83 | გრეტნა-სტირლინგი | 1.30 | 5.00 | 6.50 | 1.03 | 1.08 | 2.62 |
| 18:00 | 84 | მორტონი-ფორფარი | 1.40 | 4.30 | 5.50 | 1.05 | 1.11 | 2.41 |
| 18:00 | 85 | პარტიკი-დამბარტონი | 1.70 | 3.70 | 3.60 | 1.16 | 1.15 | 1.52 |
| | | **შოტლანდია. III დივიზიონი** | | | | | | |
| | | **20 აგვისტო** | | | | | | |
| 18:00 | 86 | ალბიონი-სტენჰაუსმუირი | 3.00 | 3.70 | 1.90 | 1.65 | 1.16 | 1.25 |
| 18:00 | 87 | ისტ ფაიფი-მონტროუზი | 2.60 | 3.60 | 2.10 | 1.50 | 1.16 | 1.32 |
| 18:00 | 88 | ისტ სტირლინგი-არბროითი | 5.00 | 3.80 | 1.50 | 2.15 | 1.15 | 1.07 |
| 18:00 | 89 | ელგინი-კოუდენბითი | 2.35 | 3.50 | 2.40 | 1.40 | 1.18 | 1.42 |
| 18:00 | 90 | ქუინს პარკი-ბერიკი | 2.35 | 3.40 | 2.40 | 1.38 | 1.18 | 1.40 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (სამ.)** | | | | | | |
| | | **19 აგვისტო** | | | | | | |
| 21:30 | 96 | დარმშტადტი-ფულენდორფი | 1.45 | 3.80 | 5.50 | 1.04 | 1.14 | 2.24 |
| | | **20 აგვისტო** | | | | | | |
| 16:30 | 97 | აუგსბურგი-კარლსრუე(მ) | 1.45 | 3.80 | 5.50 | 1.04 | 1.14 | 2.24 |
| | | **21 აგვისტო** | | | | | | |
| 17:00 | 98 | ბაიერნი(მ)-აალენი | 1.70 | 3.40 | 4.00 | 1.13 | 1.19 | 1.83 |
| | | **ავსტრია. ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **20 აგვისტო** | | | | | | |
| 21:30 | 99 | ადმირა-რიდი | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 21:30 | 100 | პაშინგი-ზალცბურგი | 2.60 | 3.20 | 2.40 | 1.43 | 1.24 | 1.37 |
| 21:30 | 101 | რაპიდი-მატერსბურგი | 1.35 | 4.20 | 7.00 | 1.02 | 1.13 | 2.62 |
| 21:30 | 102 | ტიროლი-ავსტრია | 4.00 | 3.40 | 1.75 | 1.83 | 1.21 | 1.15 |
| | | **21 აგვისტო** | | | | | | |
| 21:30 | 103 | შტურმი-გრაცერი | 2.50 | 3.00 | 2.60 | 1.36 | 1.27 | 1.39 |
| | | **ავსტრია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **19 აგვისტო** | | | | | | |
| 21:00 | 104 | ალტახი-გრატკორნი | 1.70 | 3.40 | 4.00 | 1.13 | 1.19 | 1.83 |
| 21:00 | 105 | ავსტრია(მ)-ლეობენი | 1.50 | 3.70 | 5.20 | 1.06 | 1.16 | 2.16 |
| 21:00 | 106 | კაფენბერგი-კერნტენი | 2.60 | 3.20 | 2.30 | 1.43 | 1.22 | 1.33 |
| 21:00 | 107 | კუფშტაინი-ლინცერი | 3.40 | 3.20 | 1.90 | 1.64 | 1.21 | 1.19 |
| 21:00 | 108 | შვანენშტადტი-ავსტრია(ლ) | 2.90 | 3.20 | 2.10 | 1.52 | 1.21 | 1.26 |
| | | **შვეიცარია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **19 აგვისტო** | | | | | | |
| 20:30 | 109 | ქსამაქსი-თუნი | 2.45 | 3.20 | 2.50 | 1.38 | 1.23 | 1.40 |
| | | **20 აგვისტო** | | | | | | |
| 20:30 | 110 | ივერდონი-შაფჰაუზენი | 2.30 | 3.20 | 2.65 | 1.33 | 1.23 | 1.44 |
| 21:30 | 111 | ბაზელი-აარაუ | 1.35 | 4.20 | 7.00 | 1.02 | 1.13 | 2.62 |
| 21:30 | 112 | გრასჰოპერი-სტ.გალენი | 1.75 | 3.40 | 4.00 | 1.15 | 1.21 | 1.83 |
| 21:30 | 113 | იანგ ბოისი-ციურიხი | 2.20 | 3.20 | 2.85 | 1.30 | 1.24 | 1.50 |
| | | **შვეიცარია. ჩელენჯლიგა** | | | | | | |
| | | **19 აგვისტო** | | | | | | |
| 21:30 | 114 | ბადენი-ლოზანა | 2.70 | 3.20 | 2.25 | 1.46 | 1.22 | 1.32 |
| 21:30 | 115 | ვილენი-ბელინცონა | 2.15 | 3.20 | 2.95 | 1.28 | 1.24 | 1.53 |
| | | **20 აგვისტო** | | | | | | |
| 19:30 | 116 | იუვენტუსი-მეირინი | 1.65 | 3.50 | 4.20 | 1.12 | 1.18 | 1.90 |
| 21:30 | 117 | კრინსი-შო დე ფონი | 2.15 | 3.10 | 2.95 | 1.26 | 1.24 | 1.51 |
| 21:30 | 118 | ლოკარნო-სიონი | 2.70 | 3.20 | 2.25 | 1.46 | 1.22 | 1.32 |
| 21:30 | 119 | ვადუცი-ლუცერნი | 1.60 | 3.50 | 4.50 | 1.09 | 1.18 | 1.96 |
| 21:30 | 120 | ვილი-კონკორდია | 2.10 | 3.20 | 2.95 | 1.26 | 1.22 | 1.53 |
| 21:30 | 121 | კიასო-ვინტერთური | 1.80 | 3.40 | 3.60 | 1.17 | 1.20 | 1.74 |
| | | **21 აგვისტო** | | | | | | |
| 16:30 | 122 | ბოლმი-ლუგანო | 2.25 | 3.10 | 2.75 | 1.30 | 1.23 | 1.45 |
| | | **საფრანგეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **20 აგვისტო** | | | | | | |
| 22:00 | 123 | აიაჩო-ლე მანი | 1.90 | 2.90 | 4.20 | 1.14 | 1.30 | 1.71 |
| 19:15 | 124 | ბორდო-მონაკო | 2.35 | 2.80 | 3.10 | 1.27 | 1.33 | 1.47 |
| 22:00 | 125 | ლანსი-ოსერი | 2.05 | 2.90 | 3.60 | 1.20 | 1.30 | 1.60 |
| 22:00 | 126 | ლიონი-ნანსი | 1.25 | 4.40 | 12.00 | 1.00 | 1.13 | 3.21 |
| 22:00 | 127 | მეცი-სტრასბური | 2.20 | 2.90 | 3.30 | 1.25 | 1.32 | 1.54 |
| 22:00 | 128 | ნიცა-ნანტი | 2.05 | 2.90 | 3.45 | 1.20 | 1.28 | 1.57 |
| 22:00 | 129 | რენი-მარსელი | 2.40 | 2.90 | 2.80 | 1.31 | 1.29 | 1.42 |
| 22:00 | 130 | სოშო-ლილი | 2.30 | 3.00 | 3.00 | 1.30 | 1.30 | 1.50 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **21 აგვისტო** | | | | | | |
| 20:00 | 131 | ტულუზა-სტ.ეტიენი | 2.10 | 3.00 | 3.40 | 1.23 | 1.29 | 1.59 |
| 22:45 | 132 | ტროა-პსჟ | 3.20 | 3.10 | 2.15 | 1.57 | 1.28 | 1.26 |
| | | **საფრანგეთი. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **19 აგვისტო** | | | | | | |
| 22:30 | 143 | სეტე-დიჟონი | 2.70 | 2.80 | 2.60 | 1.37 | 1.32 | 1.34 |
| 22:30 | 144 | კლერმონი-ისტრი | 2.65 | 2.70 | 2.70 | 1.33 | 1.33 | 1.35 |
| 22:30 | 145 | ამიენი-ლე ავრი | 1.95 | 2.80 | 3.80 | 1.14 | 1.28 | 1.61 |
| 22:30 | 146 | ბრესტი-შატორუ | 2.30 | 2.70 | 3.10 | 1.24 | 1.32 | 1.44 |
| 22:30 | 147 | კრეტეი-მონპელიე | 2.20 | 2.70 | 3.30 | 1.21 | 1.32 | 1.48 |
| 22:30 | 148 | გენგამი-გრენობლი | 1.80 | 3.00 | 4.20 | 1.12 | 1.25 | 1.75 |
| 22:30 | 149 | ლავალი-კაენი | 2.50 | 2.70 | 2.85 | 1.29 | 1.33 | 1.38 |
| 22:30 | 150 | რეიმსი-გენიონი | 2.20 | 2.70 | 3.30 | 1.21 | 1.32 | 1.48 |
| 22:45 | 151 | სედანი-ლორიანი | 2.10 | 2.80 | 3.40 | 1.20 | 1.29 | 1.53 |
| | | **22 აგვისტო** | | | | | | |
| 22:30 | 152 | ვალენსიენსი-ბასტია | 2.75 | 2.80 | 2.55 | 1.38 | 1.32 | 1.33 |
| | | **ბელგია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **20 აგვისტო** | | | | | | |
| 20:00 | 154 | ანდერლეხტი-ბეერსხოტი | 1.20 | 5.40 | 10.00 | 1.00 | 1.07 | 3.50 |
| 22:00 | 155 | ბევერენი-ლიერსი | 2.45 | 3.30 | 2.50 | 1.40 | 1.23 | 1.42 |
| 22:00 | 156 | ბრიუგე-რუსელარე | 1.20 | 5.40 | 10.00 | 1.00 | 1.07 | 3.50 |
| 22:00 | 157 | შარლერუა-მუსკრონი | 1.60 | 3.60 | 5.00 | 1.10 | 1.21 | 2.09 |
| 22:00 | 158 | გენტი-სერკლი | 1.60 | 3.60 | 5.00 | 1.10 | 1.21 | 2.09 |
| 22:00 | 159 | ვესტერლო-გენკი | 2.45 | 3.50 | 2.40 | 1.44 | 1.21 | 1.42 |
| 22:00 | 160 | ვარეგემი-ლუვე | 1.95 | 3.30 | 3.45 | 1.22 | 1.24 | 1.68 |
| | | **21 აგვისტო** | | | | | | |
| 22:00 | 153 | სტანდარდი-სტ.ტრუიდენი | 1.30 | 4.80 | 8.00 | 1.02 | 1.11 | 3.00 |
| 20:00 | 161 | ლოკერენი-ბრიუსელი | 1.70 | 3.40 | 4.30 | 1.13 | 1.21 | 1.89 |
| | | **ჰოლანდია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **19 აგვისტო** | | | | | | |
| 22:30 | 162 | ბრედა-ტილბურგი | 1.85 | 3.40 | 3.55 | 1.19 | 1.21 | 1.73 |
| | | **20 აგვისტო** | | | | | | |
| 21:30 | 163 | როზენდალი-აიაქსი | 7.00 | 4.00 | 1.40 | 2.54 | 1.16 | 1.03 |
| 21:30 | 164 | ჰერენვენი-როდა | 1.95 | 3.30 | 3.45 | 1.22 | 1.24 | 1.68 |
| 21:30 | 165 | დენ ჰააგი-ჰერაკლესი | 1.70 | 3.30 | 4.70 | 1.12 | 1.24 | 1.93 |
| 22:00 | 166 | ტვენტე-ნაიმეგენი | 1.65 | 3.40 | 4.70 | 1.11 | 1.22 | 1.97 |
| | | **21 აგვისტო** | | | | | | |
| 14:30 | 167 | სპარტა-ფეიენოორდი | 6.00 | 3.60 | 1.50 | 2.25 | 1.20 | 1.05 |
| 16:30 | 168 | უტრეხტი-ალკმაარი | 2.40 | 3.50 | 2.45 | 1.42 | 1.21 | 1.44 |
| 16:30 | 169 | პსვ-ვიტესი | 1.30 | 4.40 | 8.00 | 1.00 | 1.11 | 2.83 |
| 16:30 | 170 | ვალვაიკი-გრონინგენი | 1.95 | 3.40 | 3.35 | 1.23 | 1.23 | 1.68 |
| | | **ჰოლანდია. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **19 აგვისტო** | | | | | | |
| 22:00 | 171 | აპელდორნი-ვენლო | 2.50 | 3.30 | 2.35 | 1.42 | 1.21 | 1.37 |
| 22:00 | 172 | ვეენდამი-ოსი | 1.85 | 3.40 | 3.40 | 1.19 | 1.19 | 1.70 |
| 22:00 | 173 | გრააფსხაპი-მაასტრიხტი | 1.55 | 3.60 | 5.20 | 1.08 | 1.19 | 2.12 |
| 22:00 | 174 | დენ ბოსხი-ჰელმონდი | 1.80 | 3.40 | 3.50 | 1.17 | 1.18 | 1.72 |
| 22:00 | 175 | დორდრეხტი-ზვოლე | 2.20 | 3.30 | 2.65 | 1.32 | 1.20 | 1.46 |
| 22:00 | 176 | ეინდჰოვენი-ალმერე | 1.60 | 3.50 | 4.50 | 1.09 | 1.18 | 1.96 |
| 22:00 | 177 | ექსელსიორი-ემენი | 1.70 | 3.40 | 4.20 | 1.13 | 1.21 | 1.87 |
| 22:00 | 178 | იგლსი-კამბური | 2.25 | 3.30 | 2.60 | 1.33 | 1.20 | 1.45 |
| 22:00 | 179 | ტელსტარი-სიტარდი | 1.65 | 3.40 | 4.40 | 1.11 | 1.20 | 1.91 |
| 22:00 | 180 | ვოლენდამი-ჰაარლემი | 1.60 | 3.50 | 4.50 | 1.09 | 1.18 | 1.96 |
| | | **რუსეთი** | | | | | | |
| | | **20 აგვისტო** | | | | | | |
| 15:00 | 218 | დინამო-სპარტაკი | 2.70 | 2.80 | 2.55 | 1.37 | 1.31 | 1.33 |
| 15:00 | 219 | როსტოვი-მოსკოვი | 3.10 | 2.90 | 2.25 | 1.49 | 1.30 | 1.26 |
| | | **21 აგვისტო** | | | | | | |
| 15:00 | 220 | ალანია-სატურნი | 2.00 | 3.00 | 3.50 | 1.20 | 1.27 | 1.61 |
| 15:00 | 221 | ამკარი-რუბინი | 2.90 | 2.70 | 2.50 | 1.39 | 1.34 | 1.29 |
| 15:00 | 222 | ცსკა-ზენიტი | 1.80 | 3.20 | 4.00 | 1.15 | 1.24 | 1.77 |
| 15:00 | 223 | ტერეკი-შინიკი | 1.95 | 3.00 | 3.80 | 1.18 | 1.28 | 1.67 |
| 15:00 | 224 | ტომსკი-ტორპედო | 2.65 | 2.80 | 2.70 | 1.36 | 1.33 | -1.37 |
| | | **პოლონეთი** | | | | | | |
| | | **20 აგვისტო** | | | | | | |
| 19:00 | 233 | კორონა-პოლონია | 1.80 | 3.20 | 3.80 | 1.15 | 1.22 | 1.73 |
| 21:00 | 234 | ლეხია-ბელხატოვი | 1.55 | 3.40 | 5.10 | 1.06 | 1.18 | 2.03 |
| 21:00 | 235 | ლეგია-გროცლინი | 1.95 | 3.20 | 3.40 | 1.21 | 1.23 | 1.64 |
| 21:00 | 237 | პლოცკი-არკა | 1.60 | 3.40 | 4.40 | 1.08 | 1.17 | 1.91 |
| 21:00 | 238 | ზაგლემბე-ლეხი | 1.95 | 3.20 | 3.40 | 1.21 | 1.23 | 1.64 |
| 21:00 | 239 | ამიკა-პოგონი | 1.80 | 3.20 | 3.80 | 1.15 | 1.22 | 1.73 |
| 21:00 | 240 | გურნიკი-ოდრა | 1.90 | 3.10 | 3.50 | 1.17 | 1.23 | 1.64 |
| | | **ჩეხეთი** | | | | | | |
| | | **20 აგვისტო** | | | | | | |
| 20:00 | 242 | ლიბერეცი-სპარტა | 3.40 | 3.10 | 1.95 | 1.62 | 1.23 | 1.19 |
| 20:00 | 243 | სლავია-იაბლონეცი | 1.55 | 3.50 | 5.00 | 1.07 | 1.18 | 2.05 |
| 20:00 | 244 | ზლინი-სლოვაცკო | 2.50 | 2.90 | 2.70 | 1.34 | 1.29 | 1.39 |
| | | **21 აგვისტო** | | | | | | |
| 19:00 | 245 | ბოლესლავი-ბლშანი | 1.65 | 3.40 | 4.30 | 1.11 | 1.19 | 1.89 |
| 19:00 | 246 | მოსტი-ბანიკი | 2.50 | 2.90 | 2.60 | 1.34 | 1.27 | 1.37 |
| 19:00 | 247 | პლზენი-სიგმა | 2.85 | 3.00 | 2.25 | 1.46 | 1.25 | 1.28 |
| 19:00 | 248 | პრჟიბრამი-ტეპლიცე | 2.50 | 2.90 | 2.60 | 1.34 | 1.27 | 1.37 |
| 19:00 | 249 | ბრნო-იჰლავა | 1.60 | 3.40 | 4.80 | 1.08 | 1.20 | 1.99 |
| | | **ხორვატია** | | | | | | |
| | | **20 აგვისტო** | | | | | | |
| 19:00 | 255 | მეჟიმურიე-ზაგრები | 2.50 | 3.00 | 2.50 | 1.36 | 1.25 | 1.36 |
| 19:00 | 256 | პულა-ჰაიდუკი | 4.00 | 3.10 | 1.80 | 1.74 | 1.24 | 1.13 |
| 19:00 | 257 | ციბალია-სლავენი | 2.20 | 3.00 | 2.90 | 1.26 | 1.25 | 1.47 |
| 21:00 | 258 | დინამო-ვარტექსი | 1.30 | 4.40 | 7.50 | 1.00 | 1.10 | 2.77 |
| 21:00 | 259 | კამენი-ოსიეკი | 1.95 | 3.10 | 3.35 | 1.19 | 1.23 | 1.61 |
| 21:00 | 260 | რიეკა-ინტერი | 1.60 | 3.30 | 5.00 | 1.07 | 1.21 | 1.98 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **დანია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **20 აგვისტო** | | | | | | |
| 19:00 | 274 | ბრიონდბიუ-ნორდსიელანდი | 1.30 | 4.50 | 8.00 | 1.00 | [illegible] | 2.88 |
| | | **21 აგვისტო** | | | | | | |
| 17:00 | 275 | ესბიერგი-ჰორსენსი | 1.45 | 4.10 | 6.00 | 1.07 | 1.16 | 2.43 |
| 17:00 | 276 | მიდტიულანდი-ორჰუსი | 1.55 | 3.70 | 5.40 | 1.09 | 1.20 | 2.19 |
| 17:00 | 277 | ოდენსე-სონდერიისკე | 1.40 | 4.10 | 6.50 | 1.04 | 1.15 | 2.51 |
| 17:00 | 278 | ოლბორგი-სილკებორგი | 1.65 | 3.60 | 4.60 | 1.13 | 1.21 | 2.01 |
| 19:30 | 279 | კოპენჰაგენი-ვიბორგი | 1.60 | 3.60 | 5.00 | 1.10 | 1.21 | 2.09 |
| | | **შვედეთი. ალსვენსკა** | | | | | | |
| | | **20 აგვისტო** | | | | | | |
| 18:00 | 294 | იორგრიტე-მალმიო | 2.85 | 3.30 | 2.20 | 1.52 | 1.24 | 1.32 |
| | | **21 აგვისტო** | | | | | | |
| 19:00 | 295 | იურგორდენი-კალმარი | 1.80 | 3.30 | 4.00 | 1.16 | 1.24 | 1.80 |
| 19:00 | 296 | ჰალმსტადი-გეფლე | 1.70 | 3.40 | 4.60 | 1.13 | 1.24 | 1.95 |
| | | **22 აგვისტო** | | | | | | |
| 21:00 | 297 | ჰელსინგბორგი-ლანდსკრონა | 1.75 | 3.40 | 4.20 | 1.15 | 1.23 | 1.87 |
| 21:00 | 298 | ჰეკენი-ჰამარბი | 2.45 | 3.30 | 2.55 | 1.40 | 1.24 | 1.43 |
| 21:00 | 299 | სუნდსვალი-ასირისკა | 1.90 | 3.40 | 3.55 | 1.21 | 1.23 | 1.73 |
| | | **შვედეთი. სუპერეტა** | | | | | | |
| | | **20 აგვისტო** | | | | | | |
| 18:00 | 305 | აიკ-ბრომაპოიკარნა | 1.60 | 3.70 | 4.60 | 1.11 | 1.18 | 2.05 |
| 18:00 | 306 | ატვიდაბერგი-ფრიოლუნდა | 1.55 | 3.70 | 5.00 | 1.09 | 1.18 | 2.12 |
| 21:30 | 307 | დეგერფორსი-ნორჩიოპინგი | 2.60 | 3.30 | 2.35 | 1.45 | 1.23 | 1.37 |
| | | **21 აგვისტო** | | | | | | |
| 19:00 | 308 | გაის-იორებრო | 2.45 | 3.30 | 2.50 | 1.40 | 1.23 | 1.42 |
| 19:00 | 309 | ისტერსი-ლიუნგსკილე | 1.85 | 3.30 | 3.70 | 1.18 | 1.23 | 1.74 |
| 19:00 | 310 | ტრელებორგი-ვესბი | 1.90 | 3.40 | 3.30 | 1.21 | 1.20 | 1,67 |
| 19:00 | 311 | ვესტეროსი-ბოდენსი | 1.75 | 3.60 | 3.75 | 1.17 | 1.19 | 1.83 |
| | | **ფინეთი** | | | | | | |
| | | **20 აგვისტო** | | | | | | |
| 17:00 | 312 | ჰიკ-ტამპერე | 1.85 | 3.30 | 3.60 | 1.18 | 1.22 | 1.72 |
| | | **21 აგვისტო** | | | | | | |
| 17:00 | 314 | იარო-როვანიემი | 1.80 | 3.30 | 3.90 | 1.16 | 1.23 | 1.78 |
| 17:00 | 315 | კტპ-მიუპა | 3.80 | 3.30 | 1.80 | 1.76 | 1.22 | 1.16 |
| 17:00 | 316 | ლაჰტი-ინტერი | 2.35 | 3.20 | 2.65 | 1.35 | 1.24 | 1.44 |
| 19:00 | 317 | ტპ 47-კუოპიო | 2.60 | 3.30 | 2.30 | 1.45 | 1.22 | 1.35 |
| 19:00 | 318 | ტურკუ-მარიეჰამნი | 1.95 | 3.20 | 3.40 | 1.21 | 1.23 | 1.64 |
| | | **ირლანდია** | | | | | | |
| | | **19 აგვისტო** | | | | | | |
| 22:45 | 327 | ბრეი-ჰერპსი | 1.70 | 3.30 | 4.30 | 1.12 | 1.21 | 1.86 |
| 22:30 | 328 | დერი-კორკი | 2.40 | 3.00 | 2.75 | 1.33 | 1.28 | 1.43 |
| 22:45 | 329 | დროგედა-უოტერფორდი | 1.55 | 3.40 | 5.20 | 1.06 | 1.19 | 2.05 |
| 22:45 | 330 | შემროკი-დუბლინი | 2.15 | 3.10 | 2.95 | 1.26 | 1.24 | 1.51 |
| 23:00 | 331 | შელბურნი-ბოჰემიანი | 2.00 | 3.10 | 3.20 | 1.21 | 1.23 | 1.57 |
| | | **20 აგვისტო** | | | | | | |
| 22:30 | 332 | ლონგფორდი-სტ.პატრიკსი | 1.75 | 3.20 | 4.00 | 1.13 | 1.21 | 1.77 |
| | | **იაპონია** | | | | | | |
| | | **20 აგვისტო** | | | | | | |
| 13:00 | 333 | ურავა-ტოკიო | 1.70 | 3.30 | 4.10 | 1.12 | 1.20 | 1.82 |
| 13:00 | 334 | კობე-ნაგოია | 2.80 | 3.00 | 2.10 | 1.44 | 1.20 | 1.23 |
| 13:30 | 335 | კაშიმა-ჰიროსიმა | 1.65 | 3.20 | 4.50 | 1.08 | 1.20 | 1.87 |
| 14:00 | 336 | კავასაკი-ოიტა | 1.95 | 3.20 | 3.30 | 1.21 | 1.22 | 1.62 |
| 14:00 | 337 | ნიიგატა-გამბა | 2.70 | 3.00 | 2.30 | 1.42 | 1.24 | 1.30 |
| 14:00 | 338 | ჩერეძო-შიმიცუ | 2.10 | 3.00 | 3.10 | 1.23 | 1.25 | 1.52 |
| | | **21 აგვისტო** | | | | | | |
| 14:00 | 339 | ივატა-იოკოჰამა | 2.20 | 3.00 | 3.00 | 1.26 | 1.26 | 1.50 |
| 14:00 | 340 | კაშივა-იჩიჰარა | 2.50 | 3.00 | 2.45 | 1.36 | 1.23 | 1.34 |
| 14:00 | 341 | ვერდი-ომია | 2.60 | 3.10 | 2.35 | 1.41 | 1.23 | 1.33 |
| | | **აშშ** | | | | | | |
| | | **19 აგვისტო** | | | | | | |
| 23:45 | 344 | კანზასი-ჩიკაგო | 2.20 | 3.00 | 3.00 | 1.26 | 1.26 | 1.50 |
| | | **20 აგვისტო** | | | | | | |
| 23:45 | 345 | კოლამბუსი-დალასი | 2.50 | 3.00 | 2.55 | 1.36 | 1.26 | 1.37 |
| 23:45 | 346 | ვაშინგტონი-ლოს ანჯელესი | 1.85 | 3.20 | 3.60 | 1.17 | 1.22 | 1.69 |
| 23:45 | 347 | სოლტ ლეიკი-სან ხოსე | 3.00 | 3.00 | 2.20 | 1.50 | 1.26 | 1.26 |
| | | **21 აგვისტო** | | | | | | |
| 23:45 | 348 | ნიუ იორკი-ჩივასი | 1.55 | 3.50 | 5.00 | 1.07 | 1.18 | 2.05 |
| | | **მექსიკა** | | | | | | |
| | | **20 აგვისტო** | | | | | | |
| 23:45 | 354 | ტიგრესი-ჩივასი | 1.00 | | | | | |
| | | **არგენტინა** | | | | | | |
| | | **21 აგვისტო** | | | | | | |
| 22:30 | 358 | არგენტინოს ხუნიორსი-ესტუდიანტესი | 2.10 | 3.10 | 3.00 | 1.25 | 1.23 | 1.52 |
| 22:30 | 359 | ხიმნასია ლპ-ველესი | 2.20 | 3.00 | 2.80 | 1.26 | 1.23 | 1.44 |
| 22:30 | 360 | ინსტიტუტო-ოლიმპო | 1.80 | 3.30 | 3.90 | 1.16 | 1.23 | 1.78 |
| 22:30 | 361 | ლანუსი-ბოკა ხუნიორსი | 2.80 | 3.00 | 2.20 | 1.44 | 1.23 | 1.26 |
| 22:30 | 362 | კოლმესი-კოლონი | 1.80 | 3.30 | 3.75 | 1.16 | 1.21 | 1.75 |
| 22:30 | 363 | რასინგი-არსენალი | 1.60 | 3.40 | 4.65 | 1.08 | 1.19 | 1.96 |
| 22:30 | 364 | რივერ პლეიტი-ნიუელსი | 1.60 | 3.40 | 4.50 | 1.08 | 1.18 | 1.93 |
| 22:30 | 365 | როსარიო-ხიმნასია ჟ | 1.45 | 3.90 | 5.80 | 1.05 | 1.15 | 2.33 |
| 22:30 | 366 | სან ლორენსო-ინდეპენდიენტე | 2.20 | 3.20 | 2.75 | 1.30 | 1.22 | 1.47 |
| 22:30 | 367 | ტირო ფედერალი-ბანფილდი | 2.70 | 3.20 | 2.25 | 1.46 | 1.22 | 1.32 |
| | | **ბრაზილია** | | | | | | |
| | | **20 აგვისტო** | | | | | | |
| 23:00 | 368 | ატლეტიკო მგ-იუვენტუდი | 1.90 | 3.20 | 3.40 | 1.19 | 1.21 | 1.64 |
| 23:00 | 369 | ბრაზილიენსე-პონტე პრეტა | 1.95 | 3.10 | 3.40 | 1.19 | 1.23 | 1.62 |
| 23:45 | 370 | ატლეტიკო პრ-სან პაულუ | 1.80 | 3.20 | 3.65 | 1.15 | 1.20 | 1.70 |
| 23:45 | 371 | სან კაეტანო-კრუზეირო | 2.15 | 3.20 | 2.80 | 1.28 | 1.21 | 1.49 |
| | | **21 აგვისტო** | | | | | | |
| 23:00 | 372 | კორინთიანსი-გოიასი | 1.55 | 3.50 | 4.90 | 1.07 | 1.17 | 2.04 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:00 | 373 | ფლუმინენსე-პალმეირასი | 1.90 | 3.30 | 3.40 | 1.20 | 1.21 | 1.67 |
| 23:00 | 374 | ინტერნასიონალი-კურიტიბა | 1,70 | 3.20 | 4.20 | 1.11 | 1.21 | 1.81 |
| 23:00 | 375 | პარანა-ვასკო და გამა | 1.45 | 3.70 | 5.50 | 1.04 | 1.14 | 2.21 |
| 23:45 | 376 | სანტოსი-ფიგეირენსე | 1.40 | 3.90 | 6.20 | 1.03 | 1.14 | 2.39 |
| 23:45 | 377 | ფორტალეზა-ბოტაფოგო | 2.00 | 3.20 | 3.10 | 1.23 | 1.21 | 1.57 |
| 23:45 | 378 | ფლამენგო-პაისანდუ | 1.50 | 3.70 | 5.00 | 1.06 | 1,15 | 2.12 |
| | | **ჩილე** | | | | | | |
| | | **21 აგვისტო** | | | | | | |
| 23:00 | 379 | კობრელოა-უნ.კატოლიკა | 2.50 | 3.30 | 2.40 | 1.42 | 1.22 | 1.38 |
| 23:00 | 380 | კოლო კოლო-ტემუკო | 1.30 | 4.50 | 8.00 | 1.00 | 1.11 | 2.88 |
| 23:00 | 381 | კოკიმბო-კობრესალი | 1.70 | 3.20 | 4.30 | 1.11 | 1.21 | 1.83 |
| 23:00 | 382 | დ.კონსეპსიონი-უნ.ჩილე | 2.60 | 3.20 | 2.30 | 1.43 | 1.22 | 1.33 |
| 23:00 | 383 | უაჩიპატო-ევერტონი | 1.80 | 3.30 | 3.70 | 1.16 | 1.21 | 1.74 |
| 23:00 | 384 | მელიპილა-სერენა | 2.10 | 3.30 | 2.85 | 1.28 | 1.20 | 1.52 |
| 23:00 | 385 | პუერტო მონტი-პალესტინო | 1.90 | 3.30 | 3.30 | 1.20 | 1.20 | 1.64 |
| 23:00 | 386 | რეინჯერსი-სან ფელიპე | 1.60 | 3.50 | 4.80 | 1.09 | 1.20 | 2.02 |
| 23:00 | 387 | უონდერერსი-აუდაქსი | 1.55 | 3.40 | 5.20 | 1.06 | 1.19 | 2.05 |
| 23:00 | 388 | უნ.ესპანიოლა-უ.კონსეპსიონი | 1.40 | 4.00 | 6.00 | 1.03 | 1.13 | 2.40 |
| | | **გერმანია. თასი** | | | | | | |
| | | **19 აგვისტო** | | | | | | |
| 20:30 | 420 | ვუპერტალი-მიუნხენი 1860 | 5.50 | 3.70 | 1.50 | 2.21 | 1.17 | 1.06 |
| 21:00 | 421 | კიოლი-უნტერჰახინგი | 2.50 | 3.30 | 2.40 | 1.42 | 1.22 | 1.38 |
| 21:00 | 422 | ესენი-კოტბუსი | 2.70 | 3.20 | 2.25 | 1.46 | 1.22 | 1.32 |
| 21:00 | 423 | ობერჰაუზენი-ფრანკფურტი | 5.50 | 3.80 | 1.50 | 2.24 | 1.17 | 1.07 |
| 21:00 | 424 | კიოლნი(მ)-ჰანოვერი | 6.60 | 3.90 | 1.35 | 2.45 | 1.12 | 1.00 |
| 21:00 | 425 | ბოხუმი(მ)-აუე | 5.10 | 3.60 | 1.50 | 2.11 | 1.15 | 1.05 |
| 21:30 | 426 | ერფურტი-აალენი | 2.65 | 3.30 | 2.20 | 1.46 | 1.20 | 1.32 |
| | | **20 აგვისტო** | | | | | | |
| 17:00 | 427 | რეგენსბურგი-ალემანია | 3.10 | 3.30 | 2.00 | 1.59 | 1.21 | 1.24 |
| 17:00 | 428 | ინგოლშტადტი-საარბრიუკენი | 4.00 | 3.40 | 1.70 | 1.83 | 1.19 | 1.13 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 429 | სტ.პაული-ბურგჰაუზენი | 2.55 | 3.30 | 2.30 | 1.45 | 1.20 | [illegible] |
| 17:00 | 430 | მაინცი(მ)-კარლსრუე | 3.90 | 3.50 | 1.70 | 1.84 | 1.15 | [illegible] |
| 17:30 | 431 | ვილინგენი-ჰანზა | 8.00 | 5.50 | 1.20 | 3.25 | [illegible] | [illegible] |
| 17:30 | 432 | ერფურტი(მ)-ლევერკუზენი | 15.00 | 7.50 | 1.05 | 5.00 | [illegible] | [illegible] |
| 17:30 | 433 | ტრიერი-კაიზერსლაუტერნი | 5.70 | 3.70 | 1.50 | 2.24 | 1.18 | [illegible] |
| 17:30 | 434 | პადერბორნი-ვოლფსბურგი | 4.00 | 3.40 | 1.70 | 1.83 | 1.19 | [illegible] |
| 17:30 | 435 | ვატენშაიდი-ვერდერი | 8.50 | 4.70 | 1.25 | 3.02 | 1.08 | [illegible] |
| 17:30 | 436 | კიკერსი-ჰამბურგი | 7.50 | 4.70 | 1.30 | 2.88 | 1.10 | [illegible] |
| 17:30 | 437 | ოფენბახი-კიოლნი | 3.30 | 3.30 | 1.90 | 1.64 | 1.20 | [illegible] |
| 20:00 | 438 | ბრემერჰავენი-შალკე | 20.00 | 10.00 | 1.01 | 6.66 | 1.00 | [illegible] |
| 20:45 | 439 | კობლენცი-ჰერტა | 9.50 | 4.70 | 1.20 | 3.14 | 1.06 | [illegible] |
| | | **21 აგვისტო** | | | | | | |
| 16:30 | 440 | ლაიპციგი-ლინამო | 6.50 | 3.60 | 1.45 | 2.31 | 1.18 | [illegible] |
| 16:30 | 441 | ჰოფენჰაიმი-შტუტგარტი | 6.50 | 3.80 | 1.40 | 2.39 | 1.15 | [illegible] |
| 17:00 | 442 | ზიგენი-ფრაიბურგი | 2.45 | 3.30 | 2.40 | 1.40 | 1.21 | [illegible] |
| 17:00 | 443 | ოსნაბრიუკი-ფიურტი | 2.55 | 3.20 | 2.35 | 1.41 | 1.22 | [illegible] |
| 17:30 | 444 | ბერლინი-ბოხუმი | 9.00 | 4.80 | 1.25 | 3.13 | 1.09 | [illegible] |
| 17:30 | 445 | ეშბორნი-ნიურნბერგი | 8.00 | 4.60 | 1.30 | 2.92 | 1.11 | [illegible] |
| 19:00 | 446 | ჰანსა(მ)-მაინცი | 7.00 | 4.00 | 1.35 | 2.54 | 1.13 | [illegible] |
| 19:00 | 447 | ნეუკირხენი-ბაიერნი | 20.00 | 9.50 | 1.01 | 6.44 | 1.00 | [illegible] |
| 19:00 | 448 | ვოლფსბურგი(მ)-დუისბურგი | 8.50 | 4.20 | 1.25 | 2.81 | 1.08 | [illegible] |
| 19:00 | 449 | მაგდებურგი-არმინია | 20.00 | 10.00 | 1.03 | 6.66 | 1.00 | [illegible] |
| 19:00 | 450 | კატსჰოფი-მიონხენგლადბახი | 20.00 | 10.00 | 1.02 | 6.66 | 1.00 | [illegible] |
| | | **22 აგვისტო** | | | | | | |
| 22:25 | 451 | ბრაუნშვაიგი-დორტმუნდი | 4.20 | 3.60 | 1.60 | 1.93 | 1.15 | [illegible] |
| | | **ესპანეთი. სუპერ თასი. 20 აგვისტო** | | | | | | |
| 23:45 | 453 | ბარსელონა-ბეტისი | 1.20 | 5.00 | 10.00 | 1.00 | 1.07 | [illegible] |
| | | **იტალია. სუპერთასი** | | | | | | |
| | | **20 აგვისტო** | | | | | | |
| 23:00 | 480 | იუვენტუსი-ინტერი | 2.35 | 3.00 | 2.90 | 1.31 | 1.29 | [illegible] |

## ფორმულა 1. თურქეთი. 20 აგვისტო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 10:00 | 1001 | გამარჯვებული | ვებერი | 45.00 |
| 10:00 | 1001 | გამარჯვებული | ალონსო | 4.20 |
| 10:00 | 1001 | გამარჯვებული | დორნბოსი | 70.00 |
| 10:00 | 1001 | გამარჯვებული | კარტიკეიანი | 60.00 |
| 10:00 | 1001 | გამარჯვებული | ალბერსი | 60.00 |
| 10:00 | 1001 | გამარჯვებული | ვილნევი | 60.00 |
| 10:00 | 1001 | გამარჯვებული | მონტოია | 5.20 |
| 10:00 | 1001 | გამარჯვებული | მ.შუმახერი | 5.50 |
| 10:00 | 1001 | გამარჯვებული | ბატონი | 16.00 |
| 10:00 | 1001 | გამარჯვებული | ტრული | 15.00 |
| 10:00 | 1001 | გამარჯვებული | რ.შუმახერი | [illegible] |
| 10:00 | 1001 | გამარჯვებული | ბარიკელო | [illegible] |
| 10:00 | 1001 | გამარჯვებული | კლიენი | [illegible] |
| 10:00 | 1001 | გამარჯვებული | რაიკონენი | [illegible] |
| 10:00 | 1001 | გამარჯვებული | ჰაიდფელდი | [illegible] |
| 10:00 | 1001 | გამარჯვებული | სატო | [illegible] |
| 10:00 | 1001 | გამარჯვებული | კულტჰარდი | [illegible] |
| 10:00 | 1001 | გამარჯვებული | მასა | [illegible] |
| 10:00 | 1001 | გამარჯვებული | ფიზიკელა | [illegible] |
| 10:00 | 1001 | გამარჯვებული | მონტეირო | [illegible] |

## 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11001 | მანჩესტერი-ასტონ ვილა | 1.45 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11002 | ნიუკასლი-ვესტ ჰემი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11003 | ტოტენჰემი-მიდლსბრო | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11004 | ვესტ ბრომვიჩი-პორტსმუთი | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11005 | ბლექბერნი-ფულემი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11006 | ჩარლტონი-უიგანი | 2.55 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11007 | ლივერპული-სანდერლენდი | 1.45 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11008 | ბირმინგემი-სიტი | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11009 | ბოლტონი-ევერტონი | 3.10 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11010 | ჩელსი-არსენალი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10001 | მანჩესტერი-ასტონ ვილა | 1.40 | 2.20 | 7.00 | 1.00 | 1.16 | 1.67 |
| 10002 | ნიუკასლი-ვესტ ჰემი | 2.10 | 2.00 | 4.70 | 1.02 | 1.45 | [illegible] |
| 10003 | ტოტენჰემი-მიდლსბრო | 2.20 | 2.00 | 5.00 | 1.04 | 1.52 | [illegible] |
| 10004 | ვესტ ბრომვიჩი-პორტსმუთი | 2.55 | 2.00 | 3.90 | 1.12 | 1.54 | [illegible] |
| 10005 | ბლექბერნი-ფულემი | 2.45 | 2.00 | 3.90 | 1.10 | 1.50 | [illegible] |
| 10006 | ჩარლტონი-უიგანი | 2.20 | 2.00 | 4.90 | 1.04 | 1.53 | [illegible] |
| 10007 | ლივერპული-სანდერლენდი | 1.45 | 2.30 | 7.00 | 1.00 | 1.20 | [illegible] |
| 10008 | ბირმინგემი-სიტი | a2.65 | 2.00 | 3.80 | 1.13 | 1.56 | [illegible] |
| 10009 | ბოლტონი-ევერტონი | 2.70 | 2.00 | 3.90 | 1.14 | 1.59 | 1.32 |
| 10010 | ჩელსი-არსენალი | 2.40 | 2.00 | 4.00 | 1.09 | 1.50 | [illegible] |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14001 | მანჩესტერი-ასტონ ვილა | 1.05 | 2.70 |
| 14002 | ნიუკასლი-ვესტ ჰემი | 1.35 | 2.40 |
| 14003 | ტოტენჰემი-მიდლსბრო | 1.55 | 2.30 |
| 14004 | ვესტ ბრომვიჩი-პორტსმუთი | 1.70 | 2.20 |
| 14005 | ბლექბერნი-ფულემი | 1.65 | 2.30 |
| 14006 | ჩარლტონი-უიგანი | 1.55 | 2.30 |
| 14007 | ლივერპული-სანდერლენდი | 1.08 | 2.90 |
| 14008 | ბირმინგემი-სიტი | 1.70 | 2.10 |
| 14009 | ბოლტონი-ევერტონი | 1.70 | 2.10 |
| 14010 | ჩელსი-არსენალი | 1.60 | 1.90 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13001 | მანჩესტერი-ასტონ ვილა | 1.90 | 1.70 |
| 13002 | ნიუკასლი-ვესტ ჰემი | 1.70 | 1.90 |
| 13003 | ტოტენჰემი-მიდლსბრო | 1.70 | 1.90 |
| 13004 | ვესტ ბრომვიჩი-პორტსმუთი | 1.70 | 1.90 |
| 13005 | ბლექბერნი-ფულემი | 1.70 | 1.90 |
| 13006 | ჩარლტონი-უიგანი | 1.70 | 1.90 |
| 13007 | ლივერპული-სანდერლენდი | 1.90 | 1.70 |
| 13008 | ბირმინგემი-სიტი | 1.70 | 1.90 |
| 13009 | ბოლტონი-ევერტონი | 1.70 | 1.90 |
| 13010 | ჩელსი-არსენალი | 1.70 | 1.90 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16001 | მანჩესტერი-ასტონ ვილა | 1.05 | 4.50 |
| 16002 | ნიუკასლი-ვესტ ჰემი | 1.20 | 3.00 |
| 16003 | ტოტენჰემი-მიდლსბრო | 1.35 | 2.40 |
| 16004 | ვესტ ბრომვიჩი-პორტსმუთი | 1.50 | 2.10 |
| 16005 | ბლექბერნი-ფულემი | 1.40 | 2.20 |
| 16006 | ჩარლტონი-უიგანი | 1.30 | 2.70 |
| 16007 | ლივერპული-სანდერლენდი | 1.04 | 4.50 |
| 16008 | ბირმინგემი-სიტი | 1.45 | 2.20 |
| 16009 | ბოლტონი-ევერტონი | 1.45 | 2.20 |
| 16010 | ჩელსი-არსენალი | 1.40 | [illegible] |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15001 | მანჩესტერი-ასტონ ვილა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15002 | ნიუკასლი-ვესტ ჰემი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15003 | ტოტენჰემი-მიდლსბრო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15004 | ვესტ ბრომვიჩი-პორტსმუთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15005 | ბლექბერნი-ფულემი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15006 | ჩარლტონი-უიგანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15007 | ლივერპული-სანდერლენდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15008 | ბირმინგემი-სიტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15009 | ბოლტონი-ევერტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15010 | ჩელსი-არსენალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### გოლი: წყვილი-1 ან კენტი-2. (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17001 | მანჩესტერი-ასტონ ვილა | 1.85 | 1.95 |
| 17002 | ნიუკასლი-ვესტ ჰემი | 1.85 | 1.95 |
| 17003 | ტოტენჰემი-მიდლსბრო | 1.85 | 1.95 |
| 17004 | ვესტ ბრომვიჩი-პორტსმუთი | 1.85 | 1.95 |
| 17005 | ბლექბერნი-ფულემი | 1.85 | 1.95 |
| 17006 | ჩარლტონი-უიგანი | 1.85 | 1.95 |
| 17007 | ლივერპული-სანდერლენდი | 1.85 | 1.95 |
| 17008 | ბირმინგემი-სიტი | 1.85 | 1.95 |
| 17009 | ბოლტონი-ევერტონი | 1.85 | 1.95 |
| 17010 | ჩელსი-არსენალი | 1.85 | 1.95 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო)
(2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 12001 | მანჩესტერი-ასტონ ვილა | 1.90 | 1.70 |
| 12002 | ნიუკასლი-ვესტ ჰემი | 1.90 | 1.70 |
| 12003 | ტოტენჰემი-მიდლსბრო | 1.70 | 1.90 |
| 12004 | ვესტ ბრომვიჩი-პორტსმუთი | 1.70 | 1.90 |
| 12005 | ბლექბერნი-ფულემი | 1.70 | 1.90 |
| 12006 | ჩარლტონი-უიგანი | 1.70 | 1.90 |
| 12007 | ლივერპული-სანდერლენდი | 1.90 | 1.70 |
| 12008 | ბირმინგემი-სიტი | 1.60 | 2.00 |
| 12009 | ბოლტონი-ევერტონი | 1.70 | 1.90 |
| 12010 | ჩელსი-არსენალი | 1.60 | 2.00 |

# ჩვენ არ გვჭირდება რეკლამა, რეკლამა გჭირდებათ თქვენ

## ჯეოსელმა სტუ ქსელიდან გამორთო

ციცნხალი და სენსაციური ამბავი: გასულ სეზონში ყველა ტიტულის მომგები სტუ-ჯეოსელი" დაიშალა. გუშინ წერტილი დაესვა კომპანია „ჯეოსელის" ჭოჭმანს და მან უარი თქვა ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდის დაფინანსებაზე. არადა, ჩემპიონის ხარჯების 80 პროცენტს სწორედ ეს კომპანია იღებდა და „ჯეოსელის" წასვლის შემდეგ სასწაული უნდა მოხდეს, რომ კლუბმა ეროვნულ ჩემპიონატში თამაში გააგრძელოს. ყოველ შემთხვევაში, გუნდის აწ უკვე ყოფილი მწვრთნელი ნუგზარ ჭეიშვილი სტუ-ს გადარჩენის შანსს თითქმის გამორიცხავს.




გურამ ცერცვაძის ფოტო

ვაჟა ქუთათელაძისა და ნუგზარ ჭეიშვილის საქმიანი ურთიერთობა დასრულდა

— კომპანია „ჯეოსელმა" დღეს მიიღო გადაწყვეტილება, რომ ჩვენს გუნდს აღარ დააფინანსებს. ამით სტუ ფაქტობრივად დაიშალა და მწვრთნელ-მოთამაშეები ჰაერში ვართ გამოკიდებულნი.

— **სამართლებრივად რამდენად გამართლებულია „ჯეოსელის" ეს მოქმედება?**

— „ჯეოსელს" კონტრაქტი არ გაუწყვეტია, ხელშეკრულებას ვადა გაუვიდა და გაგრძელებაზე უარი თქვა. 5 წლის წინ 4+1-წლიანი კონტრაქტი გაფორმდა სტუ-სა და კომპანია „ჯეოსელს" შორის და ახლა, როცა გასულ სეზონში ყველაფერი მოვიგეთ, კონტრაქტს აღარ გვიხანგრძლივებენ.

— **ეს უკვე ჯეოსელის" გადასაწყვეტია, გააგრძელოს თუ არა ხელშეკრულება და ამ კომპანიამ არჩევანი უკვე გააკეთა...**

— ეგ მართალია, „ჯეოსელს" ვერავინ დააძალებს, გინდა თუ არა, სტუ-ს გუნდი შეინახეო, მაგრამ კარგი იქნებოდა, დროულად ეთქვათ, რომ თანამშრომლობას წყვეტდნენ. ახლა კი რა გამოვიდა, მთელი გუნდი უსაქმოდ დავრჩით. ჩემპიონები გავხდით და თითქმის ყველა მოთამაშეს ჰქონდა შეთავაზებები სხვადასხვა კლუბიდან, მაგრამ არავის დაუტოვებია გუნდი. პირადად მე ესპანეთიდან მივიღე წინადადება, კლუბ „ტენერიფეში" მიწვევდნენ მწვრთნელად, სადაც რამდენიმე ახალგაზრდა ქართველი თამაშობს. ესპანეთიდან ახლახანაც შემეხმიანნენ, მაგრამ უარი ვთქვი. არ მეგონა, თუ „ჯეოსელი" ზურგს შეგვაქცევდა.

— **მაშ რა გამოდის, სტუ დაიშლება?**

— თუ სპონსორი არ გამოჩნდა, რაც არ მგონია რომ მოხდეს, დავიშლებით და ეგაა.

— **გუნდი ხომ ტექნიკურ უნივერსიტეტს ეკუთვნის და ეგებ მისმა ხელმძღვანელობამ გაიღოს სახსრები.**

— არა მგონია, ისეთი თანხები გამოიძებნოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, რომ გუნდი სრული შემადგენლობით შენარჩუნდეს. 5 წლის წინ რა ჰქონდა ამ გუნდს? არც არაფერი და ახლა ტექნიკურ უნივერსიტეტში ისიც აღარ იქნება. გაწი-გამოწი, სათამაშო ფორმა იყიდოს სასწავლებელმა. მხოლოდ ეს ხომ არ არის, კლუბის შენახვას სერიოზული თანხები სჭირდება.

— **ახლა რას აპირებთ?**

— არ ვიცი, „ჯეოსელის" წასვლის ამბავი დღეს გადაწყდა და მომავალში რა მოხდება, ღმერთმა უწყის. უსაქმურად ვართ დარჩენილი მთელი გუნდი. თან მე შენ გეტყვი და, სხვა კლუბები არიან მზად, რომ ახალი მოთამაშეები შეიმატონ... ნამდვილად არ ვიცი, რა როგორ იქნება.

*ჭეიშვილის შემდეგ კომპანია „ჯეოსელის" გენერალურ მენეჯერ ოსმან ბეის დავუკავშირდით, რომელმაც კომენტარის გაკეთება არ ისურვა. სამაგიეროდ, ყველა საინტერესო კითხვას „სტუ-ჯეოსელის" ყოფილმა პრეზიდენტმა, „ჯეოსელის" დაცვის სამსახურის უფროსმა ვაჟა ქუთათელაძემ უპასუხა...*

— ისეთი არაფერი მომხდარა ხუთწლიანი კონტრაქტი ამოიწურა და „ჯეოსელმა" აღარ გაუფორმა ახალი ხელშეკრულება სტუ-ს.

— **გუნდი ჩემპიონი გახდა და ორი თასიც მოიგო. აქედან გამომდინარე, ცოტა მოულოდნელი ხომ არ იყო, რომ „ჯეოსელმა" სტუ მიატოვა?**

— მოულოდნელი არ ყოფილა, რადგან ეს მხოლოდ საკალათბურთო კლუბს არ შეეხო. კომპანია „ჯეოსელს" ხუთი წლის წინ ძალიან სჭირდებოდა რეკლამა და ამიტომაც იკისრა ვალდებულება, რომ სტუ-ს გუნდი 5 წლით შეენახა. ეს იყო სარეკლამო გარიგება და ამის ინიციატორი მე ვიყავი. დღეს ვითარება შეიცვალა, „ჯეოსელი" გაფართოვდა, პოპულარობა მოიხვეჭა და თავად შეუძლია, სხვებს რეკლამა გაუწიოს. ამიტომაც კომპანიის ფინანსური პოლიტიკა შეიცვალა, ანუ სარეკლამო ხარჯები მნიშვნელოვნად შემცირდა. მაგალითისთვის, თუ ადრე „ჯეოსელი" წელიწადში 1 მილიონს ხარჯავდა რეკლამაზე, ახლა 200 ათასს სჯერდება. ის, რაც ამ ხუთ წელიწადში „ჯეოსელის" ხელმძღვანელობამ გაუკეთა ქართულ კალათბურთს, მხოლოდ დასაფასებელია. დიდი მადლობა კომპანიის გენერალურ მენეჯერ ოსმან ბეის, რომელმაც ბოლომდე პირნათლად შეასრულა 5 წლის წინ ნაკისრი ვალდებულება და გუნდი აქამდე შეინახა, ჩემპიონი გახადა.

— **ესე იგი სტუ-სთან ყოველგვარი კონტაქტი გაწყვიტეთ?**

— გარკვეულ თანხებს გავიღებთ ბავშვთა კალათბურთისთვის, მაგრამ, ცხადია, არა იმდენს, რამდენსაც აქამდე „ჯეოსელი" ხელს შეუწყობს ტექნიკურ უნივერსიტეტში კალათბურთის განვითარებას. დარბაზების კეთილმოწყობასა და ინვენტარის შეძენაში უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას ფინანსურად დავეხმარებით. შესაძლოა, სტუ-ს დუბლიორთა კლუბი დავაფინანსოთ.

**ირაკლი პერტაია**

# ხუთჯვაროსნები ხუთვარსკვლავიანში

## საქართველო დორკ ნოვიცკის ნახავს

**ნაკრები** გერმანიაშია და გუნდის „თიმლიდერმა", მერაბ რატიშვილმა მორიგი რეპორტაჟი გამოუგზავნა ქართულ პრესას.

თავიდანვე განვმარტოთ, რომ ნაკრების თავკაც გორდონ ჰერბერტის გადაწყვეტილებით, გუნდის წევრებს პრესასთან ურთიერთობა აკრძალული აქვთ.

მაშ ასე, როგორც მერაბ რატიშვილი იტყობინება, ნაკრები ფრანკფურტში 15 აგვისტოს ჩაფრინდა და ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე ხუთვარსკვლავიან სასტუმროში დაბინავდა.

სასტუმროს ყურის ძირში მდებარეობს ბუნდესლიგის მოწინავეთაგანი „სკაილაინერზის" ბაზა, რომელსაც ორიოდ წლის წინ გორდონ ჰერბერტი თავკაცობდა.

„სკაილაინერზის" ბაზა, რა თქმა უნდა, საქართველოს ნაკრების განკარგულებაშია და „ხუთჯვაროსნები" იქ 25 აგვისტომდე მოემზადებიან.

26-დან ბრაუნშვაიგში ოთხთა ტურნირი იწყება, რომელშიც ქართველთა გარდა საბერძნეთის, გერმანიისა და ბელარუსის ნაკრებები მიიღებენ მონაწილეობას.



გაიოზ კაიშაურის ფოტო

მერაბ რატიშვილმა და გორდონ ჰერბერტმა ნაკრები ფრანკფურტში ჩაიყვანეს

ჩვენიანთა პირველი მეტოქე საბერძნეთი იქნება და თამაში იქაური დროით 6 საათზე დაიწყება. მომდევნო მატჩში კი ქართველები ცოცხალ დირკ ნოვიცკის იხილავენ, რომლის ტურნირში მონაწილეობა უკვე გადაწყვეტილი ამბავია.

აი, ბოლო მატჩში კი ქართველებს მეტად მნიშვნელოვანი მეტოქე ელით. ბელარუსი საბერძნეთისა და გერმანიის ნაკრებებთან ახლოსაც ვერ მივა, მაგრამ გორდონ ჰერბერტი სლავებთან შეხვედრას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. საქმე ისაა, რომ ბელარუსი ქვროსაკვალიფიკაციო ტურნირის C ჯგუფში ლიდერობს და თუ ქართველებმა ფინეთ-მაკედონიასთან იყოჩაღეს, დიდი შანსია, პლეი ოფში სწორედ ექსსაბჭოელებს შეხვდნენ.

ნაკრებში ყველა ჯანზეა, მხოლოდ შიო ხეცურიანს აწუხებს მცირე ტრავმა და მსუბუქად ვარჯიშობს. მან იტალიური შეკრების ბოლო ვარჯიშზე ნეკა თითი იტკინა და ორ დღეში სრულ მზადყოფნაში იქნება.

უკვე მთლიანად ჩაერთო ნაკრების მზადებაში ზაზა ფაჩულია, რომელსაც ჰერბერტმა საგანგებო კომბინაციები შეურჩია და გულმოდგინედ ავარჯიშებს. რამდენიმე დღეში ფრანკფურტში ჩავა შემონდ უილიამსი, ხოლო ნიკა ცქიტიშვილის საკითხი დღე-დღეზე გადაწყდება. „სკიტა" ახლა „მინესოტას" ახალწვეულებთან ერთად შეკრებაზე იმყოფება და კლუბი მას რამდენიმე დღეში გაათავისუფლებს.

**ირაკლი პერტაია**

# როდიკი არც რემატჩში დაიკბინა
## სერენას კი ყისმათი გაუმართლხენდა

**მასტერსის სერია**
**ცინცინატი. მაგარსაცარი.**
**საპრიზო 2,2 მილიონი $**

**მეორე წრე**

როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — ნიკოლას კიფერი (გერმანია) 4:6 6:4 6:4; ლეიტონ ჰიუიტი (3, ავსტრალია) — გრეგ რუზეცკი (ბრიტანეთი) 1:6 7:5 6:4; მარატ საფინი (4, რუსეთი) — ენდი მიურეი (ბრიტანეთი) 6:4 1:6 6:1; ენდი როდიკი (5, აშშ) — ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) 6:7 (3:7) 7:6 (7:5) 6:2; ნიკოლაი დავიდენკო (6, რუსეთი) — პოლ-ანრი მათიო (საფრანგეთი) 6:2 6:2; ლუის თორნა (პერუ) — გილერმო კორია (9, არგენტინა) 6:4 6:4; ფერნანდო გონსალესი (ჩილე) — დავიდ ნალბანდიანი (11, არგენტინა) 3:6 6:1 6:2; ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) — ტიმ ჰენმანი (12, ბრიტანეთი) 6:4 6:4; მარიო ანჩიჩი (ხორვატია) — რიშარ გასკე (16, საფრანგეთი) 6:4 7:6 (7:6); გაელ მონფი (საფრანგეთი) — კაროლ ბეკი (სლოვაკეთი) 6:1 7:6 (8:6); კარლოს მოია (ესპანეთი) — ჟილ სიმონი (საფრანგეთი) 7:6 (7:5) 7:5

**სამეორწრეო** შეხლებიდან ყველაზე დიდ ინტერესს ამჭრის ყოფილ პირველოსანთა — ენდი როდიკისა და ხუან კარლოს ფერეროს მატჩი იწვევდა. ამ ინტერესის მიზეზი — მონაწილეთა პირველოსნურ წარსულზე არანაკლებ — ის გარემოებაც გახლდათ, რომ ეს, დასტურ სახელიანი მეჩოგნეები ერთმანეთს აქამდე მხოლოდ ერთხელ და ისიც აშშ-ის შარშანწინდელი ღია პირველობის ფინალში შეხვდროდნენ.

იმ მატჩში, როგორც ეს საქმეში ჩახედულ ხალხს ემახსოვრება, ენდიბოიმ კოლოდ წოდებულ ბასრ ესპანელს 6:3 7:6 6:3 აჯობა და კარიერის პირველი და ჯერ-ჯერობით — უკანასკნელი სლემტიტული მოირეწა.

მადლიერ მკითხველს ალბათ ისიც ჩინებულად ახსოვს, რომ იმ წელს როდიკიც და ფერეროც თავის საზეო ჩოგბურთს თამაშობდნენ. პირველმა, სანამ დიდი მუზარადის მშობლიურ ტურნირზე გაილაღებდა, ერთბაშად სამ ჩრდილოამერიკულ ტურნირზე — ინდიანაპოლისში, მონრეალსა და ცინცინატიში იმარჯვა. მეორემ კი, მადრიდული და მონტეკარლოური მასტერსტიტულები რომ გვერდზე გადავდოთ, საფრანგეთის ღია პირველობაზე კარიერის პირველი და ჯერ-ჯერობით — ასევე უკანასკნელი სადიდმუზარადო ტიტულიც სწორედ იმ სეზონში იშოვა.

აი, მომდევნო, 2004 წელი კი ფერეროსთვის ერთობ უიღბლო და წარუმატებელი გამოდგა. მართალია, რაგინდარა სლემტიტულს ვეღარც ენდიბოი შესწვდა — და, არ დაგავიწყდეთ, ეს ის წელია, როცა თითქმის ყველაფერს როჯერ ფედერერი ხაფავს — მაგრამ რა შედარებაა ფერეროს ტრავმებით წამურდლულ, უტიტულო და რეიტინგდაქვეითებულ სეზონსა და როდიკის ორტიტულიანსა და უიმბლდონისფინალიან სეზონს შორის.

უნაპრეწკლოდ, მაგრამ შარშანდელისებრ სტაბილურად მოჩოგნავე ენდიმ ოთხი ტიტულის მოჩანგვლა წლეულსაც მოასწრო, თანაც — წინა წლისგან განსხვავებით — ერთი სა-ამ-აშშ-ის-ღია-პირველობო სამზადისსაც, კერძოდ კი ვაშინგტონში მოიხვეჭა. ხელახლა უწია მან უიმბლდონურ ფინალსაც, ოღონდ ფედერერთან ამ ჯერზეც ვერაფერი გააწყო.

ფერერო კი ჯერ-ჯერობით ამ სეზონშიც უტიტულოდ ჩოგნაობს, თუმცა ნელ-ნელა თავის საზეო ფორმასაც იბრუნებს და რეიტინგსაც. ის, რომ ტრავმიანობა მართლაც წარსულშია და მას კვლავაც ძველებურად ძალუძს მეტოქის ყველა მხრიდან ზუსტი და ბასრი დარტყმებით აკლება, ვალენსიელმა კლომ ჩინებულად ცხადყო ენდიბოის წინაამდეგ, 2003 წლის ფლეშინგმედოუზური ფინალის რემატჩში.

საყოველთაო მოსაზრებით, ბოლო წელიწადნახევრის განმავლობაში ეს მისი მართლაც საუკეთესო თამაში იყო. მართალია, უმძლავრესად მომწოდებელი როდიკისთვის გეიმის წართმევა ერთხელაც ვერ შეძლო, მაგრამ პირველ სეტებში მაინც მაგრად ეტევებოდა, თავადაც ხოშიანად აწვდიდა და ხელწამაკუკულებითაც ზორბად სეტყვავდა. თუმცა გადამწყვეტ მომენტში ყისმათმა მაინც ზურგი აქცია — მეორე სეტის მეთხე გეიმში ორი ბრეიკპოინტი ვერ გამოიყენა და თითქმის კუთხეში მიმწყვდეულ მეტოქეს გაქცევის საშუალება მისცა.

ისევ და ისევ თავისი გლაჯუნა მოწოდების წყალობით სამეორესეტო ტაიბრეიკის მოგებამ როდიკს თავდაჯერებულობა დაუბრუნა და მესამე სეტში ის უკვე შეუჩერებელი იყო...

„თუ არ ვცდები, დღეს მან იმაზე უკეთესად ითამაშა, ვიდრე შარშანწინდელ ფინალში — ამბობდა მერე ენდიბოი — ყოველ შემთხვევაში, ბოლომდე და ჯიგრიანად მეომა. ალბათ, ცოტა იღბლის ამბავიც იყო, რომ დღეს მაგან კი არა, მე მოვიგე."

ფერერო კი ნამატჩევს თავის უახლოეს გეგმებზე საუბრობდა: „განთვისუ რეიტინგსიაში 24-ე ვარ, ჩემპიონთა რბოლაში კი — მე-12. ასე რომ, წლის ბოლომდე ორიოვენ ათეულამდე თუ ავედი, კარგი შედეგი იქნება. თუკი წლის დამაგვირგვინებელ რეაკაცა ტურნირზეც მოვხვდი, საერთოდაც მაგრად დავლოჯავს."

სხვაფრივ — პირველი წრის შეხვედრისა არ იყოს, ამჭრის ამჟამინდელი პირველოსანი როჯერ ფედერერი მეორეშიც საკმაოდ მოჟანგულად გამოიყურებოდა, თუმცა ნიკოლას კიფერის დასათრგუნი ილაჯი საბოლოოდ მაინც მოიძია.

შეგახსენებთ, რომ 24 წლის შვეიცარიელს ფეხის ტრავმის გამო ცინცინატამდე მას შემდეგ აღარ ეთამაშა, რაც რომ ივლისის დასაწყისში თავისი ზედიზედ მესამე უიმბლდონობა მოიგო. სწორედ ამის გამოა, რაღაც მომენტებში მისთვის უჩვეულოდ ბევრს რომ ყოყმანობს და ერთობ ხშირად მიჭქარავს.

კიფერთან მოგებული მატჩის მერეც სწორედ იმაზე მსჯელობდა, თუ რა მურტალია ხანგრძლივი უქმობის მერე კორტზე დაბრუნებულისთვის ჩოგნობა: „ყველაზე მაგრად ის ტეხავს, მარტივ სიტუაციაში ეჭვი რომ გიპყრობს, როცა დარწმუნებით ვერ წყვეტ, ასე უნდა მოიქცე თუ ისე. წარმატებულ პერიოდებში კი ასეთი რამ არ გაწუხებს, ორჭოფობა და ეგეთები არც კი იცი, რა არის, ყველაფერს უეჭველად და მეყსეულად აკეთებ. იმედია, მომდევნო წრეებში, როცა აქაურობასაც უკეთ გავეჩვევი და რეაქციებსაც ბოლომდე ავლიდგენ, მსგავსი პრობლემები აღარ შემექნება."

პრადა, იქაურ საჩოგნეთთან გასაჩვეველი როჯერს მართლაც ბევრი აქვს, რაკიღა — ჰოი, საკვირველებავ — თავის წინა ოთხ ცინცინატობაზე მან მეორე წრეს მხოლოდ ერთხელ უწია.

უფორმობა და ამის თანმდევი უხერხულობები აწუხებთ უიმბლდონობის მერე ასევე ახლახან გამოჩენილ ლეიტონ ჰიუიტსა და მარატ საფინს. იმ დღეს ორივე მათგანს ზორბა ბრიტანელებთან მოუხდათ ჭიდილი და სეტისწაუგებლად გაკაკება ვერც ერთმა ვერ შეძლო.

ჰიუიტს, რომელმაც წინა კვირაში მონრეალობის საპრიველწრეო მატჩი კუჭის მავანი სალმობის გამო შეწყვიტა, იმ დღეს გამოცდილ გრეგ რუზეცკისთან მოუხდა რკინა და პირველ სეტში მის ყუმბარა მოწოდებას ვერაფერი მოუხერხა. მაგრამ მერე და მერე ემხში შევიდა და ჯერ რომ მოწოდება გაისწორა, მერე ბადესთანაც გაუხდა და მისივე იარაღით ჟვეპა. ამ მოგებით ცინცინატობის ორგზის — 2002 და 2004 წლების — ფინალისტმა თავის საქაო გამარჯვებათა რიცხვი 16-მდე აიყვანა, საკუთრივ რუზეცკისთან პირად დავაში კი 4:3 დაწინაურდა. თავს მატჩიდან მატჩამდე უკეთესად ვგრძნობ, იძახდა მერე კისკასი ოზბიჭი და — მისი საბოლოსტებო თამაშის შემხედვარე — ეს მართლაც ასე უნდა იყოს.

რაც შეეხება საფინს, მისი მეტოქე კაფანდარა შოტლანდიელი ყმაწვილი ენდი მიურეი გახლდათ, ვინაც ჩვენს თვალსაწიერში პირველად ამ ორი თვის წინ, წინასაუიმბლდონო სამზადისისას, ქუინზკლაბობაზე მოექცა. ამ მიურეის დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ და ამაზე ეგებ მის მიერ საფინისთვის 6:1-ით მოგებული მეორე სეტიც მეტყველებს. თუმცა ეს სეტი უფრო საფინის ჩაფლავებულს ჰგავდა. მანამდე და ამის მერე კი ოყლაყმა რუსმა მობილიზებულად იჩოგნავა და მისათვლელი დამაგვრებლად მიითვალა.

ბრიტანელებმა კი იმ დღეს მესამე მეჩოგნეც მოისაკლისეს — ტიმ ჰენმანი წლეულს ფორმაში ისედაც ვერ არის და ახლა კუჭის ტკივილმაც რომ წამოიარა, ხუან იგნასიო ჩელას საერთოდაც ვერაფერი მოუხერხა.

ჩელას მოგება მტლესავით დაედო ცინცინატიში შეკრებილ არგენტინელ ძმაგებს, რომელთაც იმ დღეს ორი თავიანთი ჯილის, გილერმო კორიასა და დავიდ ნალბანდიანის ოტება იხილეს.



ენდი როდიკი

**ROGERS CUP**
**ტორონტო. მაგარსაფარი.**
**საპრიზო 1,3 მილიონი $**

**მეორე წრე**

ჟუსტინ ენინ-არდენი (4, ბელგია) — მარიანა დიას-ოლივა (არგენტინა) 6:1 6:3; ნადია პეტროვა (7, რუსეთი) — [illegible] სილ კარატანჩევა (ბულგარეთი) 4:6 6:1 6:4; კიმ კლაისტერსი (7, ბელგია) — ვირჟინი რაზანო (საფრანგეთი) 6:3 6:0; ანასტასია მისკინა (9, რუსეთი) — ლორა გრენვილი (აშშ) 6:3 5:7 6:2, ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი) — ნატალი დეშ[illegible] (10, საფრანგეთი) 6:2 6:4; კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი) — დინარა საფინა (15, რუსეთი) 7:5 6:2

**ის-ის** იყო, ამჭრის [illegible] რენა უილიამსი კორტს [illegible] ნდა და ტორონტოების [illegible] ში ფრანგ სპენგანი [illegible] 3:6 6:4 6:2 აჯობა, [illegible] მას მეისვე [illegible] დღ.

სერენას აქამდე [illegible] აწუხებდა და უიმბლდონის [illegible] რე თვენახევარიც წრონე [illegible] მო იუქმა. ახლა [illegible] იმავე ფეხის მუხლის [illegible] რით და უმკვრივი [illegible] ლებული შეიქნა, [illegible] თიშვიდა. ცოტა ხანი [illegible] დავასვენე, ისე არაფერი [illegible] თქვა მან და კორტიდან [illegible] ზე აინაცვლა...

ამასობაში კი საქმეში [illegible] სუპერბელგიელები — [illegible] 2003 წლის ჩემპიონი [illegible] არდენი და წინა კვირაში [illegible] ნულ საჩოგნეთში გალაღებულ [illegible] კლაისტერსი.

ჰინკა ჟუსტენმა, [illegible] ტილი მუხლის [illegible] მერე ასევე არსად [illegible] ბა არ დაიტყო და არგენტ[illegible] ას-ოლივას [illegible] რბინა. თუმცა მუხლი [illegible] გადაგრეული აქვს და [illegible] იმას ამბობდა, [illegible] რიხილეს მოიწვევნი.

რაც შეეხება ზოინმა [illegible] მყოფ კიმს, მას ახლა [illegible] ზებს და ეს მისი და [illegible] ზანის იძლევანდელი [illegible] დეგსაც აწერდა.

**ლევან კელაურაძე**



ჟუსტინ ენინ-არდენი

# სიყვარულის წელიწადი

## თვრამეტ აგვისტოს თვრამეტი აგვისტოს შესახებ

**2004 წლის 19 აგვისტოს „სარბიელი“ ჩემთვის, ამ გაზეთის ჟურნალისტისთვის „სარბიელებს“ შორის საუკეთესოა. იმ დღის წინა დღე კი ყველაზე დასამახსოვრებელი. ათენის ოლიმპიურ თამაშებზე დამოუკიდებელმა საქართველომ პირველი ოქროს მედალი მოიპოვა. 24 წლის ზურაბ ზვიადაურმა სამშობლოს ნანატრი ოლიმპიური გვირგვინი დაადგა. გუშინ საღამოს, ათენის ოლიმპიურ კვარცხლბეკზე ასვლის საათებითა და წუთებითაც კი ზუსტ წლისთავზე ჩემპიონი რედაქციაში გვესტუმრა. შარშანდელი „სარბიელების“ გულდასმით გადათვალიერების შემდეგ ის სიხარულიც გაიხსენა და აწმყო-მომავალზეც გულახდილად ისაუბრა.**



— მოსაგონარი ძალიან ბევრი დამიგროვდა. ემოციები ცოტა დაცხრა და ახლა უფრო დალაგებულად შეიძლება იმ სიხარულზე საუბარი. ძალიან დიდი გრძნობა იყო, ენით აუწერელი, მაგრამ გულახდილად გეტყვით, წლისთავზე უფრო ბედნიერი ვარ.

**— ერთი წელია მუდმივად ყურადღების ცენტრში ხარ. ხომ არ დაგღალა პოპულარობამ?**

— თავს რომ თავისუფლად ვეღარ ვგრძნობ ესაა ყველაზე ძნელი, მაგრამ მეორე მხრიდან თუ შევხედავთ ძალიან კარგიცაა. საბერძნეთიდან საქართველოში დაბრუნების მომენტიდან ჩემი ხალხისგან არნახულ სითბოს ვგრძნობ. სიყვარულს, რომელიც ერთი წლის განმავლობაში ოდნავადაც არ განელებულა. ამაზე დიდი ბედნიერება არ არსებობს. ოლიმპიური ჩემპიონობისთვის უამრავი ფასიანი საჩუქარი მივიღე, მაგრამ ხალხის სიყვარულს ვერც ერთი ვერ შეედრება.

**— შენ თავს თუ ატყობ, რომ შეიცვალე?**

— ტყუილია. არანაირად არ შევცვლილვარ. უახლოეს წლებში ყველა დიდი ტურნირიც რომ მოვიგო, მაინც ის ზვიადაური ვიქნები, მანამდე რომ ვიყავი. არავის არ ვაოქმევინებ ჩემპიონობა თავში აუვარდაო. ყველანაირად ვცდილობ ჩემი თუნდაც უმნიშვნელო საქციელი ვინმესთვის გამაღიზიანებელი არ იყოს.

**— ზუსტად ერთი წლის წინ ამ დროს კვარცხლბეკზე იდექი. დღეს ემოციები ხომ არ მოგეძალა?**

— ჯერ კიდევ გუშინ დავფიქრდი როგორ ჩაივლიდა დღევანდელი დღე. ალალად გეტყვით, დილიდანვე აფორიაქებული ვარ. რაღაცნაირად განსაკუთრებულად მიხარია. მომავალში რაც არ უნდა მოვიგო 18 აგვისტო მაინც შეუდარებელი თარიღი იქნება ჩემთვის.

**— 2004 წლის 18 აგვისტოს შემდეგ ყველაზე ბედნიერი დღე გაიხსენე.**

— იმავე წლის 24 დეკემბერს ჩემს მეუღლეს ხელი ვთხოვე. ეს აქ მოხდა, „სარბიელის“ რედაქციაში. მეორე დღიდან კი ერთად ცხოვრება დავიწყეთ. ამაზე ბედნიერი გასახსენებელი აბა რა უნდა მქონდეს. იმედია მორიგი დიდი ემოცია 8 სექტემბერს მოვა. ამ დღეს მსოფლიოს ჩემპიონატზე უნდა ვიჭიდავო.

**— ახლა როგორ ფორმაში ხარ?**

— რომ გითხრა ფორმის პიკთან ახლოს ვარ მეთქი, მართალი არ ვიქნები, მაგრამ ამ ეტაპზე ეს არცაა საჭირო. მგონი ზუსტად ისე ვარ, მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე სამი კვირით ადრე გეგმის მიხედვით როგორც უნდა ვიყო. ნაკრებთან ერთად ორი შეკრება გავიარე და ორივესგან მაქსიმუმი მივიღე. ჯერჯერობით ყველაფერი მშვენივრად მიდის. ბოლო შეკრება კი 24 აგვისტოს გვეწყება და დაახლოებით სექტემბრის პირველ რიცხვებში მეცოდინება, შეკძელი თუ ვერა პიკზე ასვლა.

**— ალბათ შენამდეც მოვიდოდა ხალხში მოარული ხმა, ზვიადაური ძველი შემართებით აღარ ვარჯიშობსო.**

— ქართველი გულშემატკივარი ძალიან მომთხოვნია. ჩემი მწვრთნელი შოთა ხაბარელი კი განსაკუთრებით მომთხოვნი. მშვენივრად ვიცი, პოპულარობის დაკარგვა გაცილებით ადვილია, ვიდრე მოპოვება და ამას სიზარმაცის გამო არაფრით არ დავუშვებ. ლეიბზე რომ შევდივარ სავარჯიშოდ, ყოველთვის ბოლომდე ვიხარჯები. არ მინდა ჩემს ხალხს იმედი გავუცრუო.

**— ოლიმპიადის შემდეგ შენგან ყველა ოქროს მედალს ითხოვს. მნიშვნელობა არ აქვს რა დონის ტურნირზე გამოხვალ ან ვინ შეგხვდება. ეს ზედმეტ ტვირთად ხომ არ დაგაწვება?**

— მართლა ძალიან დიდი ტვირთია, მაგრამ ვეცდები ამაზე არასოდეს ვიფიქრო. გამომივა თუ არა, მომავალი გვიჩვენებს.

**— აქვე ერთ საკმაოდ გახმაურებულ ფრაზასაც გავიხსენებ — ზვიადაურის ჭიდაობა მეტოქეებმა თავიდან ბოლომდე შეისწავლეს...**

— ყველა მოჭიდავის გაშიფვრა შეიძლება, თუმც ეს არ ნიშნავს, რომ ამით მისი დამარცხება გარანტირებული გაქვს. ტურნირიდან ტურნირამდე უნდა ეცადო შენს არსენალს ახალი ილეთები შემატო. ათენის ოლიმპიადის მერე პატარ-პატარა კოზირები კიდევ შევიძინე. რამდენად გამოსადეგი და საინტერესო, ამას თავად მოწინააღმდეგეები შეაფასებენ. იმედია ოლიმპიური ვიდეოჩანაწერები და თითოეული მეხვედრის თითოეული დეტალის გაშიფვრა-შესწავლა ტყუილად არ წაადგებათ.

**— მსოფლიოს ჩემპიონატზე ორჯერ გიჭიდავია და ორივეჯერ ფინალში დამარცხდი. ოქრომდე რა გაკლდებოდა?**

— 2001 წელს ფრანგმა დემონფოკომ ალალად მომიგო. ახლა უკვე დარწმუნებით ვიტყვი, რომ გამოუცდელობამ წამაგებინა. 2003-ში კი კორეელ მეტოქესთან მართლა გულდასაწყვეტი მარცხი განვიცადე. ორი სუფთა გდება არ შემიფასეს, რის შემდეგაც მომენტში მოვდუნდი და დავისაჯე.

**— ამჟამად ვის მიიჩნევ უძლიერეს კონკურენტებად?**

— 90 კილოგრამი ისეთი წონაა, უამრავი თითქმის თანაბარი დონის ძიუდოისტი რომ იყრის თავს. თვით ეგვიპტესა და არგენტინასაც კი ძლიერი სპორტსმენები ჰყავს. ფრანგი დემონფოკო, ჰოლანდიელი ჰუიზინგა, რუსი ტაოვი და იაპონელი თუ კორეელი ძიუდოისტები მართლა გამორჩეულები არიან, მაგრამ ჩემი მთავარი კონკურენტი მაინც სხვაა...

**— ჯარჯი ზვიადაური?**

— სამწუხაროდ უკვე გადაწყვეტილია, რომ ჯარჯი მსოფლიოს 90 კილოგრამში იჭიდავებს და ჩვენთვის უდიდესი ტრაგედიაა. კარგად ვხვდები, რომ წარმოუდგენია. ჩემთან შეზრდილი ბიძაშვილი საჭიდაოდ რომ უნდა დამიდგეს, ამას რომ ვამბობ, ჯარჯის სპორტულ მონაცემებზე ერთი წუთითაც არ ვფიქრობ. უსუსტესიც რომ იყოს, ჩემთვის ყოველთვის უძლიერესი მეტოქე იქნება, იმიტომ რომ ჩემი ბიძაშვილია. რა გაეწყობა, ეს ადრე თუ გვიან აუცილებლად უნდა მომხდარიყო.

**ოთარ მაღლაკელიძე**

*ბადრი კეთილაძის ფოტოები*





**2004 წლის 24 დეკემბერი: ზურაბ ზვიადაურმა ხათუნა ჭინჭარაულს ცოლობა „სარბიელის“ რედაქციაში შესთავაზა**

# F1 სამეფო რბოლების ლეგენდა 11

## ჯიმ კლარკი

დაიბადა 1936 წლის 4 მარტს კილმანში, შოტლანდია

ფორმულა 1-ში გამოდიოდა 1960-68 წლებში

მსოფლიოს ორგზის (1963, 65) ჩემპიონი

1962 წლის ვიცე-ჩემპიონი

1964, 1967 წლების მესამე პრიზიორი

მოიგო 25 დიდი პრიზი: დიდი ბრიტანეთი (5), ბელგია (4), ჰოლანდია (4), აშშ (3), სამხრეთ აფრიკა (3), საფრანგეთი (2), მექსიკა (2), იტალია (1), გერმანია (1)

72 რბოლა, 32 (25+1+6) პოდიუმი, 33 პოული, 28 უსწრაფესი წრე, 8 დიდი სლემი (რეკორდია), 274 ქულა

გუნდი – „ლოტუსი"

დაიღუპა 1968 წლის 7 აპრილს „ჰოკენჰაიმრინგზე" (გერმანია) ფორმულა 2-ის რბოლისას



**შოტლანდიელი ფერმერის შვილი, შემთხვევა რომ არა, მამის საქმეს გააგრძელებდა და ალბათ დღესაც თავის 1440-აკრიანი მამულის მოვლით იქნებოდა დაკავებული. მაგრამ მენახირეობის ნაცვლად ავტორბოლის ვირტუოზი გახდა.**

**ბუნებით მშვიდი, თავმდაბალი, მორიდებული ჯიმ (ჯეიმს) კლარკი საჭესთან აგრესიული ხდებოდა და უბადლო ოსტატობით ადვილად ჯაბნიდა მეტოქეებს, თუმც კორექტულობა არასდროს დაუკარგავს.**

**დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, ის საბედისწერო შემთხვევა რომ არა, რომელმაც 32 წლისა იმსხვერპლა ფორმულა 1-ის ისტორიაში ლამის ყველაზე გენიალური მრბოლი, კლარკი ორ საჩემპიონო ტიტულზე არ გაჩერდებოდა.**

**მას, რომ იტყვიან, ღმერთისგან ნაბოძები სამძღოლო ნიჭი დაჰყვა, თუმც თავად ხშირად ამბობდა, მე ვარ ფერმერი, რომლის ჰობიც ავტორბოლააო.**

**ჯიმიმ მხოლოდ 72 რბოლაში მოასწრო გაჯირითება, რომელთაგან საშუალოდ ყოველ მესამეს იგებდა. უფრო მაღალი შედეგიანობა მხოლოდ ხუთგზის გვირგვინოსან არგენტინელს ხუან მანუელ ფანხიოს და ორგზისას, იტალიელ ალბერტო ასკარის ჰქონდათ.**

**შოტლანდიელი** ფერმერის ოჯახში ჯიმი ნაბოლარა იყო ოთხი დის შემდეგ. მამამისი მიწის დიდ ფართობს ფლობდა და, ცხადია, სურდა, რომ ერთადერთ ვაჟიშვილს მისი საფერმერო ბიზნესი გაეგრძელებინა.

პრაქტიკულად გადაწყვეტილი ჩანდა, რომ ჯიმი თავის მომავალს სოფლის მეურნეობას დაუკავშირებდა და დაუზარებლად ეხმარებოდა მამას საჯიშე ცხვარ-ძროხის მოვლაში. მაგრამ ერთმა შემთხვევამ მისი მომავალი კარდინალურად შეცვალა.

ერთხელ ჯიმი თავისი უფროსი დის, ბეტის მეუღლემ, პროფესიონალმა მრბოლმა ჩარტერჰოლში ავტოშეჯიბრების სანახავად წაიყვანა. ბიჭი თავიდანვე მოიხიბლა ჩქაროსნული მანქანებით, უინფილდის მრბოლთა სკოლაში სწავლების შემდეგ წარმატებით ჩააბარა გამოცდები და 17 წლისა პირველად გავიდა სტარტზე მერალეთა ადგილობრივ ჩემპიონატში.

მალე კლარკების ოჯახის მეგობარმა იან სკოტ-უოტსონმა ჯიმის თავისი „DKB ზონდერკლასით", შემდეგ კი 1600 კუბურსანტიმეტრიანი „პორშე სუპერით" გაჯირითების ნება დართო. ნიჭიერმა მძღოლმა ადვილად აუღო ალღო სატრეკო თავისებურებებს და 1958 წელს მეხუთე ადგილი დაიკავა ბელგიაში, სპა-ფრანკორშამის ურთულეს ტრასაზე პრესტიჟულ რბოლაში. მომდევნო სეზონი გაცილებით მძლავრ „იაგუარის" საჭესთან გაატარა და ოციდან 12 ეტაპის მოგება შეძლო. ამას მოჰყვა ინგლისში, „ბრენდ ჰეჩის" ავტოდრომზე წარმატებული გამოსვლაც და ფორმულა 1-ის გუნდიდან შეთავაზებაც მიიღო.

კლარკის დებიუტი შედგა 1960 წლის 6 ივნისს ჰოლანდიის დიდი პრიზის გათამაშებისას, გენიალურ კონსტრუქტორ კოლინ ჩეპმენის „ლოტუსით". აქვე აღვნიშნავთ, რომ ცხრაწლიან კარიერაში ჯიმი მხოლოდ ამ საჯინიბოს ბოლიდებით დაქროდა.

ზანდვოორტში შოტლანდიელი ახალბედას კვალობაზე მშვენივრად გამოიყურებოდა და მეოთხე პოზიციაზე მიდიოდა, მაგრამ შუა დისტანციაზე მის მანქანას სიჩქარეთა კოლოფი მოეშალა. იმ სეზონში კლარკი ექვს ეტაპზე გამოვიდა და საერთო ჩათვლაში რვა ქულით საპატიო, მერვე ადგილი დაიკავა.

უამრავი ტრაგიკული შემთხვევის გამო (თითქმის ყოველწლიურად ორი-სამი მძღოლი იღუპებოდა) საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციამ ბოლიდების უზომოდ გაზრდილი სისწრაფის შესამცირებლად ძრავის მოცულობა თითქმის გაანახევრა. ხუთი სეზონი (1961-65) „ყველაზე პატარა ფორმულის" პერიოდი იყო – მოტორის მუშა მოცულობა 1,5 ლიტრამდე დავიდა, ხოლო სიმძლავრე 200 ცხენის ძალას არ აღემატებოდა.

სწორედ მაშინ გამოჩნდა ჩეპმენის არაჩვეულებრივი ნიჭი. მან მანქანის კონსტრუქციაში ეპოქალური ცვლილებები შეიტანა. ტრასებზე პირველად გამოჩნდა ბოლიდი დურალუმინის მონოკოკით — უსაფრთხოების კაპსულით, რომელიც დაცული იყო დარტყმის საწინააღმდეგო საგანგებო პონტონებით. ძრავის დაბალი სიმძლავრის საკომპენსაციოდ ჩეპმენმა ისეთი შასი შექმნა, რომელიც საშუალებას აძლევდა, „ლოტუსს" გრძელ სწორ მონაკვეთებზე დაკარგული წამები მოსახვევებში დროის მოგებით აენაზღაურებინა. თანაც ჰაერის წინააღმდეგობის შესამცირებლად მანქანა დადაბლდა — მრბოლი კი არ იჯდა, არამედ სანახევროდ გაწოლილ მდგომარეობაში იმყოფებოდა, საზურგე 45 გრადუსით გადახრილი იყო.

ყოველივე ამან უზარმაზარი ეფექტი მოიტანა. კლარკის „ლოტუსკლიმას" დამწევი არავინ ჩანდა. „მფრინავმა შოტლანდიელმა" ოთხი ჩემპიონატიდან ორში პირველობა მოიპოვა, თითოჯერ — მეორე და მესამე ადგილები.

გამორჩეულად შთამბეჭდავი გამოდგა 1963 წლის ტრიუმფი. ჯიმიმ ათიდან შვიდი რბოლა მოიგო, ამდენივე კვალიფიკაციაც, ექვსი უსწრაფესი წრეც მიითვალა და ორმაგზე მეტი სხვაობით ჩამოიტოვა 29-29 ქულიანი მეორე-მესამე პრიზიორები, ინგლისელი გრემ ჰილი და ამერიკელი რიჩი გინტერი.

ჩემპიონს იმ სეზონში კურიოზული ამბავიც შეემთხვა. იმხანად მას სახით ბევრი არ იცნობდა. ზანდვოორტში კვალიფიკაციის წინ კლარკი პოლიციელებმა ტრასაზე არ შეუშვეს, რადგან საშვი არ აღმოაჩნდა. ატყდა ჩხუბი და კოლინ ჩეპმენს დიდი ჯაფა დაადგა, რათა იგი პოლიციიდან დაეხსნა. ჯიმიმ მეორე დღეს ტრეკის რეკორდით და ვეება უპირატესობით მოიგო ჰოლანდიის დიდი პრიზი.

1965 წელიც „რეაქტიული" კლარკისა იყო — საწყისი ექვსი ეტაპიდან ზედიზედ ხუთი მოიგო, მერე ერთიც მიაყოლა და ჩემპიონატის გასრულებამდე სამი რბოლით ადრე გაინაღდა მეორე ტიტული.

მონაკოს დიდი პრიზის გათამაშებაში მას მონაწილეობა არ მიუღია, რადგან იმ დროს აშშ-ში იმყოფებოდა ინდიანაპოლისის 500-მილიან მარათონში საჯირითოდ და განსაცვიფრებლად ადვილად სძლია ოკეანისგაღმელ ასებს — მეორე ადგილზე გასული პარნელ ჯონსი ორი წუთით ჩამოიტოვა. საპრიზო 75 000 დოლართან ერთად შოტლანდიელმა ორიგინალური რეკორდიც დაიმსახურა — ინდიანაპოლისელი მესაქონლეები ერთი წლის განმავლობაში უგზავნიდნენ მას ძროხის ხორცს.

1967 წელს „მონცაზე" კლარკმა ფანტასტიკურად იბრძოლა და გამარჯვებაც პრაქტიკულად განაღდებული ჰქონდა, მაგრამ... ის იტალიის დიდი პრიზის გათამაშება ფორმულა 1-ის ისტორიაში საუკეთესო რბოლათა ათეულშია შესული.

კვალიფიკაცია ჯიმიმ კი მოიგო, მაგრამ მესტარტის შეცდომის გამო პოულ-პოზიციის უპირატესობა ვერ გამოიყენა. როცა გასახურებელი წრის შემდეგ მისი „ლოტუსი" თავის ადგილზე გაჩერდა, სხვები ნელ-ნელა კიდევ მიგორავდნენ. ამ დროს მსაჯმა დროშის დაქნევით რბოლის დაწყების ნიშანი მისცა და კლარკს დაძვრამდე ნახევარმა ქარავანმა აუარა გვერდი, მაგრამ მეათე წრისთვის უკვე მესამე იყო. მე-13 წრეზე მას უკანა მარჯვენა საბურავი გაუსკდა და ხანგრძლივი პიტსტოპის შემდეგ რბოლას მე-15 დაუბრუნდა ერთწრიანი ჩამორჩენით. და ერთი სოლისტის სპექტაკლიც დაიწყო: „მფრინავმა შოტლანდიელმა" ისეთი ტემპით იარბინა, რომ მალე ერთმანეთის მიყოლებით ადვილად ჩამოიტოვა კონკურენტები და ფინიშამდე შვიდი წრით ადრე პელოტონის თავში მოექცა. დამწევი აღარავინ იყო, მაგრამ ბოლო წრეზე საწვავი გაუთავდა, თუმცა ინერციით მაინც გადაკვეთა ფინიშის ხაზი და იქვე გაჩერდა. ბოლო მონაკვეთში კლარკს გვერდი აუარეს ჯონ სურტისმა და ჯეკ ბრებემმა. მაყურებლები ტრასაზე გამოცვივდნენ, ჯიმი მხრებზე შეისვეს და ასე მიატარეს დიდი მრბოლი ცენტრალური ტრიბუნის წინ.

1968 წლის ჩემპიონატი პირველ იანვარს დაიწყო სამხრეთ აფრიკის დიდი პრიზის გათამაშებით. კლარკმა მეორე წრეზე ხელში აიღო ლიდერობა და ბოლომდე აღარ დაუთმია. ეს გენიალური პილოტის ბოლო რბოლა და ბოლო გამარჯვება გახდა. შვიდ აპრილს კი გერმანიაში, „ჰოკენჰაიმრინგზე" ფორმულა 2-ის არაფრისმთქმელ რბოლაში ჩაება. ისედაც მძიმე ტრასა წვიმამ უფრო გაართულა. მეოთხე წრეზე კლარკის „ლოტუსს" უკანა მარჯვენა საბურავი გაუსკდა. მართვადაკარგული ბოლიდი მოსახვევში ტრეკიდან გასრიალდა და რაკი დამცავი ბარიერები არ იყო, გვერდულად შეასკდა გზისპირა უზარმაზარ ხეს. საშინელი ძალის დარტყმა ზუსტად მრბოლის ადგილზე მოხდა. გონდაკარგული ჯიმი ხუთიოდ წუთში გარდაიცვალა. იმ ადგილზე ახლა უზარმაზარი ჯვარი დგას. ჯიმ კლარკი 32 წლის იყო.

მას ცხოვრებაში ბევრი ქალი ჰყავდა, თუმც დაოჯახებაზე არც უფიქრია — რბოლა და ოჯახი შეუთავსებელიაო. თავად მართავდა პატარა თვითმფრინავს „პაიპერ თვინ კომანჩ", რომელიც ჩეპმენისგან იყიდა და მასთან ერთად საავიაციო ბიზნესის წამოწყებას აპირებდა. თუმც უფრო მეტად სურდა სამძღოლო კარიერის დასრულების შემდეგ სპორტული ფოტოგრაფი გამხდარიყო.

**გია ახალაძე**



1965. ჯიმ კლარკის ამერიკული ტრიუმფი



1968

# ერთი წრე — ორი კონტინენტი

თურქეთი ისტორიაში პირველად რომ მასპინძლობს ფორმულა 1-ის ეტაპს, ცნობილი ამბავია. აქ მთავარი ის არის, რომ ეტაპი მოახლოვდა და სტამბოლში რია-რია მატულობს. აი, მაგალითად, თაქსიმის მოედანზე ქალბატონები საფირმულე ფირნიშთან ფოტოს იღებენ, ხოლო საკუთრივ ფირნიშს ძალიან საინტერესო რამ აწერია: ერთი წრე ორი კონტინენტია. მოგეხსენებათ, სტამბოლი სწორედ რომ ორ კონტინენტზე გაწფენილი ქალაქი გახლავთ.




AFP სტამბოლიდან

# ფანები

სპლიტს ბრაზილიელ ფეხბურთელებთან ერთად, აი, ასეთი სამბა-გოგოებიც სწვევიან და თავისიანებს ტრიბუნიდან ამხნევებენ — მხნედ იყავითო. მოგეხსენებათ, ხორვატიამ და ბრაზილიამ ამხანაგური თამაში გამართეს. მეორე სურათზე ალბექდილებს კი ეჭვიც არ ეპარებათ, რომ „დოიჩლანდ უბერ ალეს" და როტერდამში იძახიან. აქ, „დე კუიპზე" ჰოლანდია გერმანიას შეხვდა.






სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ანთაძე, ილია ნანიკაშვილი, კახა შლამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, გიორგი დარჩიანი, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლევან ხიმშიაშვილი, გაგა ჩეჩელაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კილაძე, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კვილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბუსხელია, ხათუნა ბუხრიკაშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ეკატე ლეჟავაშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42. II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი. თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge